

თავისუფლება



825
1977

საპარტიო-საბჭოთაო განათავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო
სარედაქციო კოლეგია: გიორგი ნოზაძე, მიხეილ ქავთარაძე, გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA


Journal périodique en langue géorgienne

№ 17-18 PARIS AOUT 1977 აგვისტო პარიზი № 17-18

*Djobadze's
Library*

შ ი ნ ა ა რ ხ ი

- | | | |
|-----|---|-----------------------|
| 2. | აგვისტო(მოწინავე) | |
| 3. | მეხსეობის გოგონა | |
| 6. | უწიგნო მწიგნობართა განხანათლებლად | გიორგი წერეთელი |
| 7. | ქართ. თვითგამოცემის მიმოხილვა | რინა მეხსი |
| 9. | ბრწყინების ვიზიტი ხაფრანგეთში | მამგალი |
| | თავ. ცრიბუნის წერილი ხაფრანგეთის | პრეზიდენცხ |
| 10. | ან. ხანაროვს წიგნი "ქვეყნისა და | |
| | მხოვლიობა შეხვედრები" | მერაბ კობჯავა |
| 15. | შვიდ გამხანურღიას მიერ მიმძილით | გაფიცივის გამოცხადება |
| 16. | უკანახველი ამბები საქართველოდან | |
| 17. | ხსრ-ის კომპარტიის ხაფ. პოლიტიკა | შალვა ვალანაძე |
| 18. | "ვის ამღევს ეს ხელს" | მიხეილ ქავთარაძე |
| 21. | იმღუღუღი პახუსი | ნუგზარ შარია |
| 22. | რა ნღება მხოვლიობი | გიორგი ქართველი |
| 27. | ქართ. ხელღვნების რე-2 ხაერთ. სიმკოზიუმი | |
| | თავისუფღება და რალი "თავისუფღება" | |
| 28. | რად "თავისუფღების" ერთი გაღაღემის შეხახებ | გ. წერეთელი |
| 29. | მეგობრის მოხაგონებღად | გიორგი ზღლღახანიშვილი |
| 31. | ოქროს ხაწმისი და მის გარშემი | გიორგი ზაყელი |
| 37. | აღამიანეღბი და წიგნეღბი | გიორგი ნოზაძე |
| 39. | გამოღხოვეღბა. ლეჯიხ. | როზა აზნერაშვილი |



;თავ ტრიბუნის“ ეს ნომერი აგვისტოს ბოლოსათვის უნდა გამოვიდეს. ეს თარიღი დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობისაა საქართველოს ახალ ისტორიაში. 1924 წლის ოქტომბერს მარიაშვილის მიხედვით თველი ხალხის ეროვნული გამოსვლები. მასში მონაწილეობას ლეზოლობდა ერის ყველა სასიცოცხლო ძალე — ყველა ფენების, ყველა პარტიების წარმომადგენლები. მისი მიზანი იყო უცხო, დამპყრობელ ძალების შემსრავლა. საქართველოს თვითებლმწიფების აღდგენა. მოუშაზადებელი, უიარაღო და თავისანაზარად მიტოვებული ეს სახალხო აჯანყებები დამარცხებული დამთავრდა. მან ძალიან დიდი მსხვერპლი შეიწირა. გათავისებულმა ხელისუფლებამ არა მარტო აჯანყებულები, არამედ შშვიდობიანი მოსახლეობაც არ დაინდო და უმოწყალოდ მუსრი გაავლო. მაშინდელი ჭრილობები ჩვენ სამშობლოს ჯერაც არ მოუშუშებია. მაშინ დაღვრილ ზღვა სისხლს უქმდა არ ჩაუვლია. იგი სიმბოლოდ დარჩა ჩვენ ეროვნული მეობის. ჩვენ ყველა მომდევნო თაობები იმ სისხლით ვართ ნაზიარები, იმ სისხლზე ვართ შეფიცულები და წყველიც იქნება ვინც ამ წმინდა დღეს ვატყნებს.

გადმობგვეწილობაში ტრადიციად გვაქვს აგვისტოს ეს დღეები განსაკუთრებულად აღვნიშნოთ. ერთად ვეტირებით, პანაშვიდის ვეხდით, მხურვალედ ვლოცულობთ მათი ძვირფასი სულისათვის, ვინც მაშინ თავი დასდვა ქართველი ერის თავისუფლების და ჭუვეტრენობის სამსხვერპლოზე.

ჩვენ მიერ იმ დიდებულ დღეთა ასე მხურვალედ გამოძახება, როდი ნიშნავს; რომ ჩვენ მომხრე ვიყოთ ყოველგვარ პირობებში სახალხო, საყოველთაო აჯანყების. პიროქსი ჩვენ ღრმად გვწამს, რომ დღევანდელ პირობებში მარტო ქართველი ხალხის აჯანყებას არ შეიძლება სასურველი შედეგი მოჰყვეს; ასეთ პრიოკაციას ჩვენი ხალხი არამც და არამც არ უნდა წამოეგოს.

მაგრამ არც გულზე ხელების დაკრეფა შეიძლება. არ შეიძლება ბრძოლის ველი დაუტოვო შემოსეულ ვერაგ და ციერ მტერს. ნება მისცე ქართველ ხალხის სულსა და გულში მოიკალათოს და მრავალ ათასწლოვანი ქართული ცივილიზაცია გადაშენებულთა და გადაგვარებულთა ცივილიზაციად იქცეს.

მაშ სად არის ხსნა? როგორ უნდა მოვიქცეთ? უპირველესად, ჩვენსაგით მცირერიცხოვან ერის ხსნა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მთელი ერი გადაჭრით და შეგნებულად დაირაზმება ერთი ეროვნული დროშის ქვეშ და თავის როგებიდან გათავისუფლდეს ყველა მოღალატეს, ჯაშუქს და გამცემს. ერთად შეკრულს და მორალურად გაჯანსაღებულს ვერავითარი მტერი ვეღარას დააკლებს. შემდეგ კი, ეროვნული ხსნისათვის წარმოებელი ბრძოლა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს საკაცობრიო ბრძოლას, რომელიც წარმოებს ადამიანის თავისუფლების და დემოკრატიული მმართველობის გასამტეიციებლად. ჩვენი ეროვნული განთავისუფლება უნდა მოხდეს დემოკრატიის საერთო ტრიუმფთან ერთად. საბჭოთა კავშირში დემოკრატიულ რევოლუციის გამარჯვების შედეგად. რადგანაც თანამედროვე საომარ ტექნიკის განვითარება გამოირიცხავს ორიენტაციას საერთაშორისო ომზე.

საბ. კავშირის დემოკრატიულ გაქრძქმნაზე არსებობს სერიოზული იმედები. თვით რუსეთის დემოკრატიული ინტელეგენცია ვაზდელუად იბრძვის და დასაჯერებელია, რომ ის ბრძოლა თანდობან გაძლიერდება. ამერიკის ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკა — ხელი შეუწყოს, გაამხნევოს ყველგან მსოფლიოში დემოკრატიული ძალები, უაღრესად მნიშვნელოვანია.

ჩვენ განსაკუთრებით გაამხნევებს საქართველოდან მოსული ამბები. იქ დემოკრატიულ მოძრაობას საფუძველი ჩაეყარა. ზვიად გამსახურდიამ და მისმა პოლიტიკურმა მეგობრებმა უკვე დიდი საქმე გააკეთეს ეროვნული და დემოკრატიული დროშით. უპირველესად, საჭირო იყო საბჭოთაში გამეფებულ შიშის დაძლევა. შემდეგ — ადამიანური, მოქალაქეობრივი, სარწმუნოებრივი და ეროვნული მორალის აღდგენა. მათ დაიწყეს ეს და აწ საქირია ამ მოძრაობის ვაგრძელება და გაღრმავება. საჭირო იყო ბოროტების კონკრეტულ შემთხვევებთან შეზრძოლება, ისინი ამაღლა წარმატებით აკეთებენ.

საქართველოსა და ემიგრაციის შორის დიდი ხნის განმავლობაში გაწყვეტილი იყო კავშირი; მათ თავიანთი გამოცემებით კავშირი აღდგინეს ჩვენთან. ისინი დღეს დიდ გასაქირში არიან და იმედი აქვთ, რომ ჩვენ, აქ მყოფნი, მათ ეფექტიურად დაეხმარებებით. დიდი დანაშაული იქნება თუ ოჯახური ან პარტიზანული მოტივებით, ქართული ემიგრაცია დაქსაქსული დარჩება და მტრის გულის გასახარებლად უძღურებას გამოიჩენს.



მწვავე ბოლშევიკური კულა. უძღურებს შეგნებით გამოწვეული სასოწარკვეთილება გვეუფლება, **საბჭოთა ტრიალი** და სხვა...
საბჭოთა ტრიალი — სტალინი-ბერიანი და მათმა ბოროტების ამსოვნებმა, **1941-45** წლებში, არა მარტო ექვსი ათასი ქართველი ახალგაზრდა გარდაეცა, არამედ მათი მიწურულში, როცა საბჭოების განმარტება გარდაეფიქრა ჩანდა, მან **მურხომანის** მღაბლი გრძობებით, თუ მაკავალური პოლიტიკის მიზნით, საქართველოს ხელს უზიჯებდა მოკვეთა მენსეთის პროვინციის ორასი ათასი ქართველი, შუა აზიის ქვეყნებში გადასახლა და მათ ჩვენს ერს მიძიმე ჭრილობა მიაციდა.


არა მითაათი არ არის ალ. სოლოვეიკინი, როცა მსოფლიოს ამოკალინსურ პერსპექტივაში, რუსეთისათვის პრივილეგიურ მდგომარეობას მოითხოვს „მე შეუღარებული ტანჯვის გამო, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ“ (რუსებმა) (წერილი საბჭოთა ლიდერებს). ან იქვე უფრო ქვევით: „მე გონივრად ყველა ხალხებზე მეტი მსოფლიოში, პირველ და მეორე მსოფლიო ომის გარეშე, ჩვენ დავკარგეთ სამოქალაქო ომში, ურთიერთ შორის ბრძოლაში, შინაური ნგრევებისაგან მეოცე საუკუნეში“ „სხვა რომელმა გაიღო ასეთი მსხვერპლი?“ კითხვობს „ვეულავის არხიპელაგის სახელმწიფო აკადრია. კეთილსინდისიერი რუსები სხვა ერებს ვერ დააბრლებენ. ბოლშევიკების საბჭოთა რეჟიმით თვით რუსებს უნდა შეეძინათ უფრო მეტი სხეულადან. ის რუსეთის პირში შვილია, მაშინ, როდესაც ყველა დახარბილი ერები და მათ შორის, ერთი პირველთაგანი საქართველო, განსაკუთრებული იქმნენ“ რუსული ხიმტებით და რუსული ტანკებით. ის ამავე, რომ საბჭოთა ხელისუფლების ენაჩინაის რუს ლენინის შემდეგ ქართველი სტალინი ნასახიერება, საქმის ძირითად არსს ან ცვლის, რადგან ორივე რუსულ სახელმწიფოს ეყრდნობის და და რუსულ ნაციონალიზმით, კიდევ მეტი, რუსულ შვიკინიზმით საზრდობენ. ესეც რომ არ იყოს, ჭკუად მყოფედ აღიმაინს ჯერ აზრად არ მოსვლიანტიკიცებია, რომ ვინაიდან საფრანგეთის დიდ რევოლუციის კორსიკელი ნაპოლეონ ბონაპარტე დაეპატრონა, საფრანგეთის რევოლუციის სახელით ჩადენილი ბოროტებანი კორსიკელებისათვის ან სხვა არა ფრანგ ხალხისათვის დავისრება და მით ფრანგე ერისათვის პრივილეგიური მდგომარეობა მოეთხოვა. (ისიც უღდავია, რომ ფრანგმა ხალხმა ამ რევოლუციის შედეგად გაცილებით მეტი მსხვერპლი გაიღო ვიდრე ევროპის რომელიმე სხვა ხალხმა)

მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით თუ შევადარებთ, პროცენტულად ქართველებმა გაცილებით მეტი ცოცხალი ძალა დავარგეს ვიდრე რუსებმა. საბჭოების დაუბრძოლელ მიზეზით ქართველებმა და უკრაინებმა პროცენტულად გაცილებით მეტი მსხვერპლი შეწირეს, ვინემ თვით ვეიკორსებმა. თუ ამას დავძენთ, რომ ჩვენ — საბჭოების არა რუსმა ხალხებმა — ფიზიკურ მსხვერპლთან ერთად ჩვენი თვითხელმწიფებაც დავკარგეთ და გროხული განვითარების ბუნებრივ გზასაც აგვაცილენს, გვინდ ქართველების დანაკლისი შეუღარებლად მგეტიასოლენიციის თანამემამულეებისაზე.

დავევრდეთ მესხების უბედურებას. ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ბორბომოქმედება სამ ათწლეულს წლის განმავლობაში მდამაბულ იქმნა, როგორც მსოფლიო საზოგადოებრივ აზრისათვის, ასევე თვით უზენაესი მცხოვრებ პოლიტიკურ დენილებისათვისაც. დღეს თუ ამას ფარად აეხადა, მაღლობული უნდა ვიყო ზვიად გამსახურდიასი და მისი თავდადებულ პატრიოტ მეგობრებისა. უმაღლესობა იქნება ამავე დროს არ განსხვავდებოდა ემიკოს სახაროვის ჯგუფის დამსახურებაც, რომელთაც პირველებმა დააყენეს მსოფლიო სინდისის სამსჯავროზე. **მეუტე-მესხთა**“ პრობლემა; **თავა, ტრიბუნალს**“ მეთუ ნომერში გამოქვეყნებული გ. ნოზაძის წერილი სწორედ სახაროვის ჯგუფისაგან მომდინარე ცნობას ეყრდნობა. ხოლო ამავე უფრანლის უკანასკნელ მეთექვსმეტე ნომერში მითიანად იყო მოთავსებული მერაბ კოსტავას (აბაშიძის) უფლებათა დაცვის ჯგუფის წევრი საქართველოში, დამატრებული თუ არაბოლშევიკთა, გამსახურდიასთან ერთად) განმარტება თუ ვინ არიან სინადასტრული სახაროვის მიერ ნასწენები, **თურქ-მესხები**“, **მ. კოსტავას მიხედვით**: როცა დემორტრებულ; **თურქ-მესხებზე**“ **ლაბარაკობენ**, ისინი არიან საქართველოს უძველესი პროვინციის მესხეთის მკვიდრები (ცხოვრობენ ვინც, მართალია, სამი საუკუნის განმავლობაში თურქების მძალეობის შედეგად, მუსულმანური სარწმუნოება მიიღო, მაგრამ ბიოლოგიურად, ენით, ადამიანურ-ჩვეულებით და ყველა სხვა დამახასიათებელ თვისებებით მსავალი დარჩა დანარჩენ ქართველ ხალხისა“. **მ. კოსტავა იმასაც ხსნის თუ რამ შეიყვანა შეცდომაში სახაროვის ჯგუფი: მესხეთში წინდა და თურქული ცხოვრობდა, მათ მესხები; **თარაქამებს**“ უძახიან და გადასახლებულთა შორის ისინიც ურევია. როცა და უკანასკნელებმა მესხეთში დაბრუნების ვერ მიაღწიეს, გადაწყვიტეს ბელი ცეცადითურქეთში განსახიზნავად. მოლებმა და პროტურქულმა თავაკებმა ქართველების ნაწილიც დააკარა, რომ ეს იყო ერთდღითი გამოსავალი საბჭოთა კავშირის იძულებითი სამუშაოდან თავის დაღწევისა. ამ ჯგუფმა და მათმა მეთაურმა სეიკატგომმა მოაწყო დემონსტრაცია მოსკოვში, შეეცადნენ თურქეთის ხალხში, განაცხადეს რომ ისინი იდენტობაღენ თურქობისათვის და მოითხოვეს თუ მესხეთში არა თურქეთში გახიზნვის უფლება მიანიც. სწორედ ამ ხალხთან კონტაქტმა შეიყვანა შეცდომაში სახაროვის ჯგუფი. **მ. კოსტავას მიხედვით**, პროტურქული განწყობილებისანი ძლიერ მცირერიცხოვანი არიან გადასახლებულ მუსულმან მესხთა შორის.**

მესხების საეთნოსადმი მიძღვნილი ამომწურავი ნარკვევი არის გამოქვეყნებული ვიქტორ რტხილაძის თვითგამოცემის კრებულ „საქართველოს მოამბეს, მეორე ნომერში, რომელიც გამოცემულია ტბილისში სამოცდათექვსმეტი წლის დავებებში. ამასთან ერთად გამოქვეყნებულია გადასახლებულთა თხოვნები და საჩივრები“; ასევე საქართველო ინტელექტუალის და ჰუმანიტარის ხელმძღვანელების მსჯელობისათვის ხელმწიფეობს საქართველოს ჯგუფის წევრების სამუშაოდგომილ განცხადებებზე; ამ უკანასკნელთა სინათლზე ირკვევა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, განსაკუთრებით **1943** წელს, საქართველოს სამხრეთ რაიონებში სამხედრო დებერტირითაგან შექმნილი, პარტიზანული ჯგ-

1899



უფი, რომელსაც მთელი ერთი წლის განმავლობაში წარმატებით დღეუცავს თავი, ზოგიერთის თქმით, ეს გვეუფროსოვს. როგორც უფრო მეტი იყო ხელგონებულად შექმნილი, აღიგენის რაიონის მაშინდელ ენკავდელ უფროსის მიერ.

ყველაასაბუთის ცნობილია, რომ საქართველოს მკვიდრი მაჰმადიანები განსაკუთრებით მტრულად განწყობილნი იყვნენ ანწყოზილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ეს ანტაგონიზმი კიდევ უფრო გაძლიერდა კოლექტივიზაციის განხორციელების შემდეგ. მებრძოლი ათეიზმი და კოლექტივიზაცია შეუთესივსელი გამოდგა, განსაკუთრებულად მაჰმადიანურ სარწმუნოების ხალხისთვის ამიტომ სრულიად ვასკილი არ არის ის ფაქტი, რომ მეგობრის გულს დიდდა არ აღადგინებდა საბჭოთა რეჟიმისათვის თავის დიდება. და სწორედ 1943 წელს როცა გერმანიის ჯარები ამიერკავკასიის საზღვრებს მოადგნენ, ბევრი, არა მარტო მაჰმადიანი არამედ ქრისტიანებიც, უარს ამბობდა ჯარში წასვლაზე და ტყეს აფარებდა თავს. ერთი სიტყვით, ჯერ საქმარისი საბჭოთები არ არსებობს, რომ გადაჭრით ითქვას რა ედგა საფუძვლად სტალინ-ბერიას ასეთ ბარბაროსულ გადაწყვეტილებას. მხოლოდ ფაქტი კი ის არის, რომ 1944 წლის ნოემბერში, ბერიას სპეციალურმა სამხედრო ნაწილმა აპყარა დღეუცავს აზიის რეპატრულაციებში გადასახლა ორას ათასამდე მესხეთის მკვიდრი მოსახლე და ამრიგად ხელის ერთი მოსმით გააპარტახეს აღიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგდანოვცის რაიონების ორას ოცი სოფელი.

ადგილი წარმოადგენია თუ არ ჯერჯერობით რანჯვას გადაიტანდენ ეს უბედურები. ჯერ პირუტყვის გადასახლა რომონებში, მერე შუა აზიის კაცო კლიმატში უცხო მოსახლეობის გარემოცვაში, უსახლკარო და მშვიდრ-მწყურვალნი. ვ. რცხილაძე ამბობს: „გადასახლებისას მესხებს განუცხადეს, რომ მათი სამშობლო მალე ბრძოლის ველად გადაიქცევა სსრკ-ის და თურქეთის შორის. სადაც ასეთი ტყუელი არ სჭირდა, იქ ძალს ხმარობდნ და ასე ტენიანდნ ხალხს სატვირთო ვაგონებში. მესხებს ნება დართეს მხოლოდ ერთი თვის საგზაღის წაღებისა. და აი ეს გამოჩინდა ხელისუფალთა გველური ბოროტება. მესხებით დატვირთულ მატარებლებს თეგობით აჩვენებდნ სადმე ჩიხში და იხიციებოდა ხალხი შიშიშლისა და წყურვილისაგან. ძალზე შეთხვეტილი მესხები შუა აზიის მშვიდრ ველზე დასახლეს.“ აღსანიშნავია, რომ მესხები ერთად კი არ დასახლეს არამედ ზუსტ სხვა და სხვა რესპუბლიკის რაიონებში გაჰფანტეს. უტყველია იმ მიზნით, რომ დაჩქარებულყო მათი ასამილაცია. ამრიგად გადასახლების პირველსავე თვეებში ორმოცი ათასი სული დაიღუპა, უმრავლესობა ბავშვები და მოხუცები. გადასახლებულთა ტრაგედიის წარმოგვიდგენს შემდეგი შემზარავი ამბავი: „სამწუხაროდ მარტო მესხები არ იყვნენ ამ დღეში. იმ დროს გადასახლებულ ქისტების(ჩიჩენ-ინგუშები)ნაწილი ასევე გააჩერეს კასანოვოდსკთან (თურქმენეთი)სადაც წყალი არ მოიპოვებოდა. საქმელად აძლევდნენ მხოლოდ მარილიან თევზს. რამდენიმე დღის შემდეგ ბატონებმა დაიწყეს შარდის გაყიდვა. ცვლიდნენ მას სხვა და სხვა საგნებზე. შემდეგ წამოვიდით სისხლი შარდის მავიერ, ბევრი გავიდა.“ ვ. რცხილაძე ასე დასკვნის: „ამრიგად, მოხდა უდიდესი ბოროტება, დანაშაული ქართველი ერის წინაშე... რომელსაც მისი ორგანიზებული ნაწილი ახლა უკვე ფიზიკურად მოწყვიტეს და რომლის დანაკლისი ფრიალ შემაშფოთებელი ხდებოდა, საქართველოში ქართველი მოსახლეობის საერთო შემცირობასთან დაკავშირებით. მესხთა ამ გადასახლებას საქ. ისტორიაში შაჰ-აბასის მიერ ქართველთა აყრა-გადასახლება თუ შეედრება.“

და როცა ავტორი იხილავს მიზეზებს გადასახლებისას, სხვას ვერაფერს ხედავს საფუძვლიანს გარდა იმისა, რომ სტალინი თავიდანვე გამწყურალი იყო საქართველოზე, ქართველთა ანტისაბჭოურ განწყობილების გამო ამიტომ შურს იძიებდა და მესხების გადასახლებით ის სჯიდა ქართველ ხალხს საერთოდ. ვ. რცხილაძის თქმით: სტალინი ვადაგვარდა და საბოლოოდ ის აკეთებდა რუს შოინისტების და თვით რუს ფაშისტების საქმეს, ამიტომაც ვერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავ დღესასწაულზე მან დიდი რუსი ხალხის სადღეგრძელო დალია.

რა მოუტანა მესხთა საბჭოთა ხელისუფლებამ? სვამს საკითხს ვ. რცხილაძე და თვითვე პასუხობს: 1921 წელში თურქებს დაუთმოეს მთელ სამხრეთ მესხეთის არზრუმამდე, ხოლო სახელმწიფოს საზღვრებში დარჩენილ მესხეთის ნაწილს კიდევ უფრო აძლიერებენ მესხთა გათურქებას. მათ თურქული სკოლები დაუარსეს 1930 წლამდე, ხოლო შემდეგ თურქული= ადერბეიჯანულით შესცვალეს და მასწავლებლები ადერბეიჯანიდან ჩამოიყვანეს, მუსლიმან მესხებს უმტკიცებენ, რომ ადერბეიჯანელები არიან და ქართულ გვარიშვილებს აზერბეიჯანელებად სწვრენ.

მაშინ როდესაც ვერმანიის ფრონტზე მესხ ახალგაზრდებს დაუზოგავად აბრძობდნენ, მათი ოჯახები რიცხვით ორასი ათასი სული, 1944 წელში აპყარეს და გადასახლეს. ვ. რცხილაძის მიხედვით მარტო მესხები კი არ დაზარალებულან საბჭოთა ხელისუფლებისაგან, არამედ-მთელი ქართველია. მტრად საინტერესოა ვ. რცხილაძის მიერ მოტანილი მავალითები და საბჭოთები. ის დაწერილებით ჩამოთვლის დაპატივებებს, წამებებს, გაუსამართლებლად, მასიურ ამოხოცვის ფაქტებს და ათიათასობით, ხშირად ასიათასობითაც, გადასახლებებს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში. „საქმარისთა ითქვას, ამბობს ვ. რცხილაძე, რომ ამ წამება გადასახლებით მოიხსო ქართული ინტელეგენციის ოთხმოცი პროცენტი. თითქმის ოჯახი არ დარჩენილა საქართველოში, სადაც რომელიმე წევრი არ ემსხვერპლა ამ რეპრესიებს. უკანასკნელი მასიური გადასახლება მო-

ხდა 1951 52 წლებში. გადასახლეს სამოცი ათასი ქართველი, უმეტესად ისინი, ვისაც ოჯახის წევრი საზღვარ გარეთ ჰყავდა“.

ერთი სიტყვით, არა მარტო მესხეთი , არამედ მთელი ქართველობა ამოწყვეტეს, გადაამწყვდნენ და მხოლოდ საქართველოში ქართველი ხალხის რიცხვი სამიოთხედ შემცირდა.“

1953 წლის გაზაფხულზე „თავზარდამცემი მბრძანებელი დამონებულ ხალხთა , სტალინი, ბნელიეთში ჩაეკეცება . მალე მოსპობენ მის მოწას , ჯალათ ბერიას და მათ ძმა-ბიჭებს..... ორმოცდათექვსმეტ წლის ოცდარვა პარტისასრკესიმიდღესი საბჭოს პრეზიდუმის ბრძანებით, საკომუნდანტო რეჟიმიდან გაათავისუფლეს და მოქალაქეობები უფლებები აღუდგინეს რეპრესირებულ გადასახლებულ ეროვნებებს. ორმოცდაჩვიდმეტ წლის დასაწყისიდან იწყეს სამშობლოში დაბრუნება : ქისტებმა, ბალყარელებმა და სხვ. მხოლოდ ორ ერს არ მისცეს ნება დაბრუნებისა: ყირიმელ თათრებს და ქართველებს. ასეთი უკანონობა არ შეიძლება სხვაგვარად აიხსნას თუ არა საბჭოთა ხელმძღვანელობის ფარული შეთქმულებით, რამლის მიზანია ყირიმელ თათრებისა და ქართველი ხალხის სრული ასიმილაცია.

მას შემდეგ ეს უღანაშულოდ დასჯილი ქართველები ყველაფერს შეგვიან , რომ სამშობლოს დაუბრუნდნენ მაგრამ ამოღ, ისინი განუწყვეტლად უარის კელეს აწყლებიან, რომლის დაძვევაც მათ დღემდე ვერ შეძლეს. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციამდე მათ საბუთებში ეწერათთურქი , ხოლო მას შემდეგ უწერენ იმ ეროვნებას, სადაც ცხოვრობენ. ამრიგად მათ აკრძალული აქვთ არა მარტო საქართველოში დაბრუნება, არამედ – ქართული ეროვნების ტარებაც.


არა ერთი თხვნა, საჩინავი და დღევანდია გააგზავნეს მესხებმა როგორც კრემლში ასევე თბილისში, მაგრამ დღემდე ყოველივე უპასუხოდ რჩება. მოსკოვს ჩასული მესხთა დღევანდელი ბრევენება არ მიიღო, ხოლო მისი კაბინეტის უფროსმა ვინმე სკლიაროვმა მესხებს განუცხადა: „თქვენი ხალხის დაბრუნება ძველ საცხოვრებელ ადგილებში ეკონომიურად არახელსაყრელია და ამიტომ შეუძლებელი. ვინლა მოიყვანს ბამბას (სიკ) თუ თქვენ მესხები დაბრუნდებით“ მესხების დღევანდელს ახლდა საჭ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ძოწენიძე. სკლიარ-ვამარაკითარი ანგარიში არ ვაუწიო საჭ. ოფიციალურ წარმომადგენლის შუამდგომლობას. ხშირად სიტყვას აწყვეტინებდა, რცხილადის გამოთქმით: „სკლიაროვი ძოწენიძეს ელაპარაკებოდა როგორც ბატონი ყმას.“

1964 წელს ვაგრცელდა ხმა ვითომ მესხებს შეეძლოთ სამშობლოში დაბრუნება. პირველად გაემგზავრა ხუთასი ოჯახი , მაგრამ საქართველოში არ შეუშვეს და იძულებულნი იყვნენ ხელახლად დასახლებულიყვნენ აფხაზეთში აზერბეიჯანში.

1964 წელს მესხების დღევანდელი თბილისში ჩავიდა. ჩანს მათ შეძლეს ქართული ინტელეგენციის დანიტრეკება მათი ბეღით. მათ თხოვნები გადასცეს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოების დანიტრეკირებას პროფესორ პავლე ხუჭუას. პ . ხუჭუაძე ეს თხოვნები და მისი შუამდგომლობის წერილი , რომელსაც ხელს აწერდა ქართულ ინტელეგენციის წარმომადგენლები:კ. გამსახურდია, ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე, ლ. გუდიაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ალ. მაჭავარიანი, შ. მშველიძე, ა. ბალანჩივაძე და სხვები, გადასცა ვ. მეფიანაძეს. პასუხი მხოლოდ ის იყო, რომ კ.გ.ბ. შეეცადა მესხების „გაშვებას“. ჯერ ქართველ მწერლებს შორის დაიწყეს ძებნა, მაგრამ მათ შორის, საბუნდოვროდ, მოლაღატე ვერ აღმოჩინეს. იძულებული იყვნენ ამონიშნონ აბტორისათვის მიემართათ. „მაღალი გრუზიის ფურცლებზე“ გამოქვეყნდა „ლეკუმენტები“ მთხოვნა, „პაროლ აკ-ჩაი“ ვინმე სერგეი პრუბასი, რომელშიც „ლეკუმენტურად“ ნაჩვენებია , რომ მესხები, ქართველი მუსულმანები, თურქეთის სახელმწიფო ჯაშუსები არიანდა საბჭოთა სახელმწიფოს გამცემლები.

1968 წელში, შუა აზიიდან კიდევ ჩავიდა საქართველოში ათასი ოჯახი მესხებისა, რომლებიც აფხაზეთში იზივნენ სამუშაოს და დაბინავდნენ. მაგრამ მალე მათ უკან მოყვება კრემლის ბრძანება, გატნიან ამ საცოდავებით სატვირთო რონონებს და კიდევ ერთხელ გადასახლებენ . ამჯერად მესხები აღარ ინდომებენ აზერბეიჯანში დარჩენას და დასახლებიან ჩრდილო კავკასიაში , ყაბარდო-ბალყარეთში. მათვე შეუერთდება 250 ოჯახი რომლებიც აზერბეიჯანიდან სამოცდაცხრა წელს საქართველოში ჩავიდა და საიდანაც ისინი გამოაძევეს.

ამრიგად დღესათვის , მამამიადანი ქართველები დასახლებული არიან აზერბეიჯანში, ბალყარეთ ყაბარდოში, თურქმენისტანში, ტაჯიკისტანში, ყირგიზეთში, უზბეკისტანში. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა კიდევაც გამრავლებულან(თითო ოჯახში ხუთი, ექვსი, და ხშირად რვა ბავშვიც ყოფილა) და მათ საერთო რიცხვს სამას ათასად ანგარიშობენ. ახალგაზრდებში თითქმის აღარავინ დაპარაკობს ქართულად და ეს გარემოება დიდ საფიქრალში ავდებს უფროსებს. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ საქართველოში, რომ ბავშვებს ქართულ სკოლებში სიარულის საშუალება მიეცეთ.



გადასახლებულთა დიდ უმრავლესობაში, ვ. რციხაიძის მოწოდებით, მხურვალედ დღეის ქართული საზოგადოებაში, თუმცა მათ შორის არიან ისეთი ელემენტებიც, რომელთაც თავი თურქად მიაჩნიათ. ასეთი ბევრი არ არის, მაგრამ მათი არსებობით მოხერხებულად, სარგებლობენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განხორციელებული და საქართველოსადმი მტრულად განწყობილი წრეები, რათა ქართველებსა და მესხებს დაეხმარებინათ და ამით მათი დაბრუნება შეუძლებლად აქციონ.

ვ. რციხაიძის ნარკვევი დაწერილია დიდად მგრძობიარე მამულიშვილის კალმით.

ზოგიერთი საკითხი, რომელიც მესხების გადასახლებას უშუალოდ არ ეხება, იქნებ უკეთესი ყოფილიყო არ აღეძრა და მათი დამატებით, არ დაემძიმებია უმისოდაც მძიმე საკითხი. ისტორიულ ამბების თხრობისას რა თქმა უნდა, ზოგიერთ სუბიექტიურ მსჯელობასაც ვერ ასცდებავტორი, მაგრამ „პირველი ქვა“ მან ესროლოს ვისაც შეეძლო არ მოსვლოდეს.

მათავარი: ჩვენი ერის ნაწილის, მუსულმან მესხთა ტრადედია, დაწერილებით და ობიექტიურად არის შესწავლილი. ასევე მათი სამშობლოში დაბრუნების საკითხებაც, როგორც ადამიანურ მოტივებით, ისე ეროვნულ სარგებლიანობის თვალსაზრისით, ნათლად არის ნაჩვენები. უტახოვში მყოფ ეროვნულ ემიგრაციის ვალია, სიმპატიით გამოეხმებუროს მოწინავე ქართველ ინტელექტუელთა ზრუნვას. მათთან ერთად მოითხოვოს ჩვენი ძმების, მესხების დაუყოვნებლად დაბრუნება თავიანთ მამა-პაპათა მიწა-წყალზე. საბჭოთა სახელმწიფომ მათ უნდა აღნაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზარალი; მკვდრებს ვეღარ გააცოცხლებენ, მაგრამ ცოცხლებს ხელი უნდა შეუწყონ სამშობლოში ხელახლად დასახლებაში.

ყოველ გადასახლებულს, განურჩევლად ეროვნებისა, ნება უნდა მიეცეს შინ დაბრუნებისა. თუ ამათში ვინმე თავს თურქად თვლის, მათ უფლება აქვთ თურქული ენა შეინარჩუნონ და შეივლინოსათვის თურქულ ენაზე სწავლება მოითხოვონ. მაგრამ ისევე როგორც ყველა დანარჩენებისათვის, თურქებისთვისაც საგადაღებულო უნდა იყოს, საქართველოს ფარგლებში, ქართული ენის ცოდნა.

უ წ ი გ უ რ მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ ა გ ა ნ ს ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ა დ

/გაზეთ „სამშობლოში გამოქვეყნებული ერთი წერილის ეპიგრაფის პასუხად/


აკაკი „ღამურაში“ ისეთ სულმდაბალ არსებას გულისხმობდა, რომელსაც ერცხენებოდა თავისი წარმოშობა, ჰგომბდა თვის ტომობას და „გაკეთილშობილებას“ იმიოთა ცდილობდა, რომ სხვა გვარსა და ჯილავს შეხიზნავდასმიტომ

ერთმა უგურმა თავუნამ
მოიწადინა ჩიტობა...

მაგრამ რა? როგორც მოგვხსენებთ, ფრთების გამოსხმამ ვერ უშველა საბრალოს. ამით ვერც კიციკ-ულურტული ისწავლა /ზა, სადნაგუნა, სად გალობა?/, ანთუ ვერც ჭეშმარიტ ფროსანს დაემსგავსა. სწორედ ასეთებზეა ზედგამოჭრილი: „საიდან სადაო, წმინდაო საბაო“. და დარჩა ბეჩავი თუ ბელშავი გაირყული, როგორც ცის ბინდართავან, ასევე საროებისა და ხერულების ბედკრულ მდგურთავან. საოცარია, რომ იგივე აკაკის ცა-ფირუზის ქვეშ მსხობებზე ზოგიერთი ვაი-ქართველი, იმუნში არ ადგებს თანამომქმეთა ძალად მონათვლას, თურქად და ისიც ვისაც? წმინდა მესხი ქართველისას, შოთას სამკვიდროს სისხლსა დაღბორცისასდა თავგარიანად აცხადებს; ასლუ ერთი არაა, თუ როგორ იქნები ჩაწერილი პასპორტში. ნაციონალური საკითხი საბჭოთა კავშირში უკვე დიდ ხანია მოგვარებულია“ო. აი, ამას ჰქვია ღვთის გმობა და მკრეხლობა! ეს ლაჩრული ლაქობა ხომ პირდაპირ მცირე ეროვნებათა მოძულე ერიულაპიების წისქვილზე ასხამს წყალს? როგორ? სრულიად უბრალოდ და თვალსაჩინოდ: ეს დავიზი ემსახურება ისედაც მცირერიცხოვანი ერის მიზანსწრაფულ, ავბედით შეცვეცა-შემცირებას.

რა უმწეოდ და უღიშამოდ გამოიყურებიან ლაქუცა ლაქიები, მგონი ასეთებზე დასწერა აკაკიმ რას წაკვწკავებს ეს საწყალი მურია?
ხომ არ შია დან ხომ არ სწყურია?

საქართველოს იმ დირს შვილთა ფონზე, რომელთაც მუდამ სიამაყის ფრთებს ასხამდა თავისი ჭა როველობა დიდებულ ისტორიული წარსულად, რომელსაც დრმად აქვს გადგმული ფესვები საუკუნეთა ქართველებში. რომელთაც აღაფრთოვანებდა ჭეშმარიტად თვითმყოფადი უძველესი კულტურა, რომლის ა ლ ო რ დ ი ე ბ ი ს



ეპოქამ დიდად გაუსწრო წინ ნებისმიერი ცივილიზებული ერისას, კურთხევის უზენაეს მწვერვალზე ასტეორცნა ღირსსახსოვარი და თავმოსაწონი ქართული ტრადიციები, უკვდავო მცირერიცხოვან ერის ეროვნულსული და ამით ქართველი, ყველა თანამედროვე დიდი ერის ღირსი თანატოლად დასახა სოციოლოგიურ და პოლიტიკურ ლაზე. ამ ეროვნული უბრაატესობის საბაყო თვითშეგნებამ წარმოათქმევინა ექსპრომტად ერთ ქართველს საჯაროდ ერთი ეროვნების წარმომადგენელთა ყურში ვასაყარა:

კოვდა ვაში პრედკი ვ ლესუ ბროლილი,
ნაში ბიბლიუ პერევილილი.

რინა მესხი—

ქ ა რ თ უ ლ ი თ ვ ი თ გ ა მ ო ც ე მ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

ზ. გამსახურდიას წერილი ამერიკულ ყურნალ „ნიუზ ვიკ“-ს. (რეზიუმე).

ამ წერილში ზ. გამსახურდია მიესალმება იმას, რომ ყურნალი მკითხველებს აცნობს საქართველოს საციოთხებს, მაგრამ 76 წელს ოც მაისის გამოქვეყნებული სტატია, ბნ. კლიფორდ მეის-ს და ალფრედ ფრენდლ-სა სათაურით: „ბიზნესი, როგორც მუდამ“, ზოგიერთ შენიშვნას მოითხოვს. მაგალითად წერილის ეპიგრაამამ „სტალინი რუსეთს მისცა სოციალიზმი ხოლო საქართველოს კაპიტალიზმი დაუტოვა“. შესაძლებელია გაუგებრობა გამოიწვიოს. შეხედულება თითქოს საქართველო სტალინის დროს პრივილეგიაში იყო, სიმართლე არ არის, პირიქითსაქართველოს არასოდეს განუტყლია ისეთი მატერიალურ-ფიზიკური და სულიერი დანაკლ-ისი, როგორც მან სტალინის დროს განიცადაო.


სტალინს არც რუსეთისათვის მიუტია სოციალიზმი, რადგან იქაც ისევე ჰყვავის შავი ბაზარი, სპეკულა-ცია და კერძო წარმოება, როგორც ყველა სხვა რესპუბლიკებშიო.

ასევე გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს სტატის იმ ნაწილსადაც ნათქვამია: „ხანკრებს და აფეთქე-ბებს საქართველოში აწყობენ შავი ბაზრის სპეკულანტები. სპეკულანტები, ამბობს გამსახურდია, უმთავრ-ესად არაქართველები არიან, მათთვის უტხო გარემოში აფეთქებების მოწყობა ფრიად ძნელია ან რისთვის გასწვევენ ამგვარ რისკს ისინი, როცა პოლიციის მოქრთამავს ადვილად აღწევენო. რაც შეეხება იმის თქმას თითქოს რაღაც კავშირი არსებობდეს, ბიზნესსა და ქართველ ნაციონალისტებს შორის, ამ ჭორების წყარო ხელისუფლება არისო ამბობს გამსახურდია. სინამდვილეში შეუძლებელია, რომ ნაციონალისტებმა ითანამშრო-მლონ შავი ბაზრის ნაძირალბთანო. ამის დასამოწმებლად, გამსახურდიას მოჰყავს მაგალითები: მოხდა აფეთქება თბილისში დემიტროვის სახელობის ქარხანაში. იქ შესვლა უტხო არ შეუძლია. მამასადამე აფეთქება მოაწყვეს თვით ქარხნის თანამშრომლებმა. მათ ამაზე ადრე მოაწყვეს არაერთი გაფიცვა და პროტე-სტი. იყო შემთხვევა, როცა მუშებმა დაზვება დაამტერიეს, სამუშაოზე არ გამოეხადდენ და სხვა.

იგივე შეიძლება ითქვას აფთხებზე და ხანძარზე, რომელიც ახლახან მოხდა ქ., მხანარძის ჩაის ქა-რხანაში. შეგარდამდე ამ ქარხნის დირექცია აბიულა შეესრულება აგემა, რომელიც დიდად აღემატებოდა მუშების შესაძლებლობას. ამან გამოიწვია რაც მოხდაო. ამგვარად აფეთქებებს და ხანძარებს ყველას საკუ-თარი მიზეზი აქვს და ყველასი ერთნაირად ახსნა შეცლომააო. მაგრამ საერთოდ ისინი გამოიწვეულია მუშა-მოსამსახურეთა უკმაყოფილებით და არა შავი ბაზრის პირთა მიერ, როგორც ამას ხელისუფლება ამტკიცებს და „ნიუზ-ვიკ“-ი იმეორებსო. რაც შეეხება ქართველების ბუნებრივ მისწრაფებას ბიზნესისადმი, რაც კორ-ესპორველთათვის თითქოს თვით ქართველებს უთქვამთ, გამსახურდიაც გაუგებრობას დამაჯერებლად ხსნის, ქართველთა მიერ ინგლისურის არასაკმაო ცოდნით; მათ უნდოდათ ეთქვათ: „რომ ვიცხოვროთ ჩვენთვის ბიზ-ნესი აუცილებელია“ და არა „ბიზნესი ჩვენი სიცოცხლეა“ო.

თვითგამოცემის მასალებიდან მოგვყავს ორი საგულძმბი ინფორმაცია ზ. გამსახურდიასი.

„უცლი ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის ნიღბის ქვეშ ხელისუფლება ძარცვავს სვანეთის ეკლესიებს“ მიუხედავად იმისა, ამბობს გამსახურდია, რომ სვანების დიდი უმრავლესობა ღვთისმოსავნი არიან, მთელ სვ-ანეთში არცერთი მოძღვარი არ არის, რომ ღვთისმსახურება შესრულოს. სვანებმა არაერთხელ მიმართეს საქართველოს პატრიარქს, მაგრამ ის მთავრობის შიშით, ვერ ბედავს იქ მოვლად ვინმე აკურთხოს. აფხაზ-ეთში ყოფილა ერთი გაბედული ხუცესი, დავით ფიფია, რომელიც ჩუმად აღის სვანეთშიდა ბავშვებს ნათლა-



გსო.სევანეთის ეკლესიებში, სადაც იშვიათი ხატები და სხვა ისტორიული საუნჯე არის შემონახული, ხშირად იკარგება ძვირფასი ნივთები და ხატები. პოლიცია ქურდებს ვერასოდეს ვერ პოულობს. სევანები ფიქრობენ ხელსუფლება თვით აწყოფს ამ ქურდობას, რადგან აციკორამდენიმე შემთხვევა, როცა ეკლესიებში ხატები და სხვა ნივთები შემდეგ შეამჩნიეს მესტიის მუზეუმში—მაგრამ არა ყველა.

ქრისტიანული კულტურის ძეგლების მდგომარეობა საქართველოში (რუსული ტექსტის რეზიუმე)

ამ დოკუმენტის მიხედვით, ისტორიულ ძეგლთა აღდგენისა და შენახვისათვის გამოყოფილი თანხები, აბსოლუტურად შეუფარდებელია ძეგლთა რაოდენობასთან. ამავე დროს, ეს მცირე თანხაც არ ხმარდება მოვლა-პატრონობას, არამედ იფლანგება ქრთამებში და ძმობიკობაში. იშვიათი ძეგლები დღითიდღე ნადგურდება ტურისტთა და მოქვიფე ვანდალებისაგან. რაც მთავარია, ხელისუფლება არამც თუ დენის მით, არამედ თითქოს კიდევაც აქეზებს. ხოლო განთქმულ დავით გარეჯის მონასტრის ნელნელა ანადგურებენ განგებ, რადგანაც იქ მოთავსებულია საბარტლერო პოლიგონი და ყუმბარები ცეცხლს მონასტრის ახლოს. არაერთი პროტესტი ამის შესახებ უშედეგოდ რჩება.

ამა წლის გაზაფხულზე, ჩვენამდე მოაღწია „საქართველოს მოამბე“-ს მეორე ნომერი. იგი შეიცავს ასრომაც გვერდს და ეხება ქართული ცხოვრების მრავალ მხარეს. წერილებს ხელს აწერენ: ვ. რეხილაძე, მ. კოსტავა, გამსახურდი, და ბ. ბეჟუაშვილი. კრებულის ნახევარი უკავია მესხების ტრაგედიას, ავტორია რეხილაძე. პირველ სტატიით მოთავსებულია ჰელსინკის ჯგუფის წევრების: ალექსეევის, ვინზბურგის, გრიგორენკოს, კორჩაის, ლანდას, მარჩენკის, ოროვის, სლუბაკის და შჩერანსკის საანგარიშო წერილი: მიზნებზე, პერსპექტივებზე, უკვე გაკეთებულზე და სიძველეებზე საქმიანობაში. კრებულშივე მოთავსებულია პოლკოვნიკი შალვა მალაქელის ნეკროლოგი, რომელიც ახლახან გარდაცვლილ ოთხმოცი წლისა. ნეკროლოგის ავტორები ეგვობენ, რომ ე.გ.ბ.-ემ დააჩქარა მოხუცის სიცვლილი.


კოსტავას შესანიშნავი წერილი სახაროვის წიგნის შესახებ, აქვე მოგვყავს თითქმის მთლიანად. მაგრამ ამის გარდა კრებულშია მისივე ორი ინფორმაცია—ერთი—მომაბეზრებელ, ნაძვილდეგ, დასწრება-სავალდებულო პოლიტექნიკურებაზე, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოებს და რაშიც მშრომლები თავიანთ დასვენების საათებზე ჰკარგავენ. მეორე წერილი ეხება მი.ნურ შრომის საკითხს: სტუდენტებს და მოსწავლეებს, არა მარტო არდადეგების დროს, არამედ სასწავლო საათებშიც ამუშავებენ კოლექტორ და საბჭ. შეურთებებში, რასაც მოსდევს აკადემიურ დონის დამდაბლება, მაგრამ ხელისუფლება ამას არაღ ავადებს. კოსტავა აგრეთვე გვობს ქალთა შრომის გამოყენებას მიმეტი სამუშაოზე. გრის გამოც ქალები ჰკარგავენო ქალურ სილამაზეს და განაყოფიერების უნარს.

შემდეგ მოამბეში მხილულია პოლიციის ბინძური საქმიანობა, კულტურის და განათლების დაწესებულებებში. დასახლებული ის პედაგოგები და მეცნიერ მუშაკები, რომელნიც შანტაის თუ სხვა შიზნებით, პოლიციასთან თანამშრომლობენ... აღსანიშნავია არტისტ ა. ვასაძის განცხადების შინაარსი საიდანაც ირკვევა, რომ მას და აწ გარდაცვლილ ა. ხორავას მონაწილეობა მიუღიათ ჩეკას მახინჯიაში, რომლის შედეგად დაიღუბა განთქმული რეჟისორი ახმეტელი.

სხვა ინფორმაციაც არის ქურნალში, შედარებით ნაკლები მნიშვნელობისა. უადგილობის გამო მით ვერ გეტქდავით..

ამ ჟურნალის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ იგი პირველი სიტყვაა საქართველოს დასაცავად საჯაროდ გამოთქმული, შიშისაგან დამუნჯებულ ქვეყანაში. მისი გამოცემლები, უდავოდ მამულიშვილური ჯიგარის მქონე ქართველებია, რომელთაც დაუთრგუნათ საბჭოეთში გამეფებული შიში და ისე თამამად მსჯელობენ, ვით თავისუფალი აღამიანები. მათი ფეყაცობა ქების ღირსია. ამაზე მეტის მოთხოვნა, არც შეიძლება მათ მდგომარეობაში მყოფთაგან.

ქურნალში ვაკვრით შეხებულ ზოგ საკითხს, ჩვენ სხვაგვარად ვუდგებთ. მაგალითად: დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის ავტორობის ანალიზი, იქნებ შესაძლებელი და სასურველი იყოს, მაგრამ ეს სხვა, უფრო სერიოზულ ფორმით უნდა ხდებოდეს. ხოლო კონტექსტის უმისოდ მოხსენებული, ეს მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობის ნაწილია, იგი ქართველმა ხალხმა თავისუფლად და თავისი ნებით აირჩია და მისი იმავე სიბრტყეში დაყენება, როგორც მეფის ან საბჭოთა რუსეთის მთავრობებისა და საქართველოში მათი იმ-



ისრებისა, არც სიმართლეს შეეფერება, არც სასარგებლოა ქართულ ეროვნულ საქმისთვის. მაგრამ ეს მეთო-
 ძის სხვაობაა შეცდომებისა. წარსულის კრიტიკის ფომის სახემ, ხელი არ უნდა შეგვიშალოს ერთმანეთის გა-
 გებასა და დღევანდელში. კარგულში ასახულია საქართველოს სატიკურები და მათი მოშუშების საშუალებების
 სუსტია, მაგრამ გაბედული ცდა. მოთხრობილია სინამდვილე, რომელიც ისე მიხინჯია, ათეულ წლებით შორსმ-
 უფის გონებას მისი დაჯერება ეძნელება. სამწუხაროდ ეს, ჩვენი ქვეყნის უბედურობის მხოლოდ ნაწილია.
 განა შესაძლებელია ასორმოც გვერდინამა წიგნმა დაიტიოს ყველა ის , რაც საქართველომ განიცადა? მაგრამ
 რაც მოთხრობილია ისიც მნიშვნელოვანია და ამას უნდა ვუთხაროდეთ ზვიად გამსახურდიას და მის პატრ-
 იოტ მეგობრებს. დღეს როდესაც უ . გამსახურდია და მერაბ კოსტავა საპატიროს ჯურნალულეში იტანჯებ-
 იან, მრთელი ჩვენი სიმპატი, თანაგრძნობა და გამხნელება მათთან არის.


ბ რ ე ე ნ ე ვ ი ს ვ ი ზ ი ტ ი ს ა ფ რ ა ნ გ ე თ შ ი .

ჩვენ მოწმენი ვართ, საბ. კავშირის ფარგლებში ლ. ბრეჟნევის კულტის განუწყვეტელი ზრდისა. ამას
 ასაზრდოებს მისი საპროპაგანდო ორგანოების ორგეცტრაცია. ამასთან ერთად სულ უფრო ცხადი ხდება, რომ
 ბრეჟნევის ჯანმრთელობა სეროზულად არის შერყეული , რის გამოც მისი პოლიტიკური აქტივობა მინიმუმ-
 დედა დაყვანილი. მიუხედავად ამისა, კრემლის ხაზინებმა საჭიროდ დაინახეს მისი საფრანგეთში მოგზაუ-
 რება. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი არ არის მთით არც საფრანგეთის ან არც მისი პრეზიდენტის განსაკუთ-
 რებული სიყვარული ან მეგობრობა, არამედ — ზრუნვა, რომ საფრანგეთმა არ გადაუხვიოს დე გოლის მიერ
 აღებულ საერთაშორისო პოლიტიკის კურსს. ამას ისიც დამატა, რომ წელს, ბელგრადის თათბირთან დაკავ-
 შირებით, საბ. ხელისუფლებას დიდი სიძნელებები აქვს ჰელსინკის ხელშეკრულების ჰუმანიტარულ ნაწილის
 შეუსრულებლობის გამო. არ ვფიქრობთ, რომ ბრეჟნევის ვიზიტს მნიშვნელოვანი შედეგები გამოეღოს. ყოველ
 შემთხვევაში, ამ საუბრის სავანს არ წარმოადგენს ამ შეხვედრის წარმატების თუ წარუმატებლობის ანალო-
 იზი, არამედ — საბჭოთა მეთაურის პოპულარიზების საკითხი. ვით წესი, საბ. სახელმწიფოს მეთაურის საზღ-
 ვარვარეთ მოგზაურობას, მისი საპროპაგანდო ორგანოები ისე აღწყვრენ, თითქოს ადგილობრივი მოსახლეობა
 მის დიდი სიყვარულით ეგებებოდეს , ვით დაჩაგრულია და მამარალთა კომიანს და საერთაშორისო კომუ-
 ნისტურ მოძრაობის ბელადს. ამჯერადაც საბ. პრესამ თავის მკითხველებს მოუთხრო, რომ „საფრანგეთის
 დედაქალაქის მცხოვრებლები გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა სტუმარს“. სინამდვილეში არაფერია მისა-
 ლმების და მთუფრო „გულთბილს“ ადგილი არს ჰქონია. თვით საფრანგეთის კომუნისტური პარტია კი ამ ვი-
 ზიტს დუმილით შეხვდა. ბრეჟნევის ერთადერთ საჯარო გამოჩენას ადგილი ჰქონდა უცნობ ჯარისკაცის საფ-
 ლავზე. მის მისვლამდე თუთხმეტი წუთით ადრე, ახლო-მახლო ქუჩებში გაკავებული ჰქონდა პოლიციის ავტო-
 მანქანებს. თვით ცერემონიალს, ოფიციალურ პირთა გარდა, ძალიან მცირე რიცხვი დაესწრო ცნობისმოყვ-
 არებისა. — უმთავრესად ტურისტები. მიუხედავად პრეფექტის მიერ სასტიკი აკრძალვისა, მან-ელიზეს აფ-
 ენიუზე და ოპერის მოედანზეადგილი ჰქონდა საპროტესტო მანიფესტაციებს. მზად შეტაკებები პოლიციასა
 და მანიფესტანტებს შორის. მანიფესტანტებმა დასწყვეს საბჭოთა დროშა, ისმოდა შეძახილი: „ბრეჟნევი გა-
 რეთ“ „კომუნისტები მკვლელები“ და სხვა. თუ ასეთ შეხვედრას „გულთბილ“ ჰქვია, მაშინ გულცივი რაღა
 უნდა იყოს?

თავისუფლების ტრიბუნის წერილი საფრანგეთის პრეზიდენტს

ლეონიდ ბრეჟნევის ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით წერილი გავუგზავნეთ საფრანგეთის პრეზი-
 დენტს მის აღმანტებულებას ვალერი კისკარ დესტენს, რომელშიაც მას აუფხენით, რომ ჩვენ ერთგულნი ვა-
 რთ ტრადიციისა — არ ჩავერიოთ: საფრანგეთის პოლიტიკის საკითხებში, მაგრამ როგორც ჩვენი სამშობლოს
 ერთგულებაში მყოფნი მოვაგონებთ, რომ იქ ამჟამად წარმოებული გარუსების პოლიტიკა, პოლიციური რეპ-
 რესივობა უკანასკნელად, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას — ჰელსინკის შეთანხმების ცხოვრება-
 ში გატარების მეთავალყურე კომიტეტის აქტიური წევრების, უკანონო დაპატიმრება უაღრესად გვაწუხებს.
 ბატონ პრეზიდენტს ვთხოვთ, თუ შემთხვევა ექნებოდა , მათ: სასარგებლოდ ეშუამდგომლა თავის ვიზიტორ-
 თან.

ჩვენს წერილზე მივიღეთ პასუხი ქალბატონ ელიან სინიორინის(შარჟე დე მისიონ)ხელმოწერით, რომლი-
 თაც გვატყობინებს: „თქვენი წერილი თოთხმეტ ოენისია მიიღო ბატონმა რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იგი
 მის გაეცნოდა დამავალა გაცნობით მისი მიღება“.





ანდრეი სახაროვის წიგნი „ქვეყნის დამსოფლიოს შესახებ“


(რბიქლება შემოკლებული)

ამას წინათ ჩემი მიერ ითარგმნა ანდრეი სახაროვის წიგნი „ქვეყნისა და მსოფლიოს შესახებ“ გამოქვეყნებული გამომცემლობა ქრონიკის მიერ ქ. ნიუ-იორკში, 1975 წელს. ამ წიგნის თარგმანს საკვიროდ მივიჩნიე შემდეგი მიზეზების გამო: უპირველეს ყოვლისა ის უნდა რაიმე ყოფილიყო ჰართულად იმ ადამიანის ნაშრომებიდან, რომელიც ასე აშკარად შეება საბჭოეთში სოციალური დაპოლიტიკური ბოროტების ურჩხულს. მინდოდა წარმომეჩინა საქართველოს პრავრესიულად მოაზროვნე ადამიანების პატივისცემა და ჰანაგრძნობა იმ საკვირველ კაცისადმი, რომლის უმთავრესი მიზანია სახელმწიფო მანქანის მიერ გათელილ ადამიანთა ღირსების დაცვა. რომელიც არა თუ სიტყვით, არამედ მუდამ მზადაა რეპრესირებულია მწედ და მეოხად, მზადაა სახელმწიფო ორგანოების ფარულ თუ აშკარა უსამართლობათა გასათქმელად და გამოსაზრუნაბა არა თუ პოლიტპატიმრების, ყველა ჯურის, განსაკუთრებით კი პატიმარქმნილი ქალების მიმართ. არც ვის უგრძნვია ესოდეტი გულსტივილი იმ შემხარაკი რეჟიმის გამო, საბჭოთა საპატიმროებში რომ სუფესსამეხმად იმ ფსიქიკის მომშლეი „მკურნალობის“ გამო, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში რომ მოახვიეს თავს სხვაგვარად მოაზროვნე, არსებულ რეჟიმით უმეყოფილო ჯანმრთელ ადამიანებს. აკადემიკოსი ა. სახაროვი ერთერთი პირველთაგანი იყო, უმავალითი შემართებით რომ შეება „დიდი გალის რკუტეებს, რომელსაც რკინის ფარდის სახელით იცნობს მსოფლიო. მრავალის გონებას აცათა მან სიდრთხოის ბოქლომ და გასატანი მისცა ოდესღაც შიშისაგან პარალიზებულ კაცთა ბაგეებს, საწყაროს დაანახა სიმართლის პრინციპთა ურყევლობა, ბოროტების წინაშე პრინციპულობისა და უკომპრომისობის უძლეველობა.

ჩვენს მიერ თარგმნილი წიგნი საბჭოთა და მსოფლიო საზოგადოებრიობის რეალურ მდგომარეობას, მათი ურთიერთდამოკიდებულებას მკათი და მრავალფეროვან სურათს წარმოგვიჩენს. ამიტომაც მივიჩნიე საშუროდ მისი ვადმოქათულება. საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ტოტალიტარიზმის მარწუხები ქვეყნის შიგნით და მისი გავრცელების საშიშროება მთელ მსოფლიოში, ჩაგვრა იდეოლოგიური, ეროვნული, მატერიალური, პიროვნების უფლებათა ხელყოფა თვით კონკრეტული საყოფაცხოვრებო საკითხებიც, სხვაგვარადმოაზროვნეთა დევნა, დაპატარებანი და სამხატურებრივადმინისტრატული სასჯელები, სოციალისტური მესისაინობის საბაბით ჩარევა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში, შფოთის ვადვივება და დედამიწაზე ახალი ცხელი წერტილების შექმნა, დასავლეთის საზოგადოების უხერხელობა და შემრიგებლობა ამ უმავალითი საშინაო და საგარეო დანაშაულობაში, ან სრული დიუხვედრებლობა საბჭოთა პოლიტიკის შორეული მიზნებისა, ელიტის, ანუ ეგრედწოდებული ნომენკლატურის თვალშისაცემი პრივილეგიები, უთაურობითა და უხრუნველობით გამწვეული რღვევა მრავალ სფეროში და ამ ფონტზე უპატრონოდ, შთენილი მრავალი ადამიანის აღწერული ტრადედია, ბაღანის ცხოვრების დონისა მსოფლიოს ძირეულ სისტემებს შორის, მესალა სამყაროს ქვეყნებთან ურთიერთობისა და განაირალების პრობლემაში — ა. ი. ფართე სფერო, რაიც კონკრეტული ფექტებითა და სტატისტიკური სიზუსტითაა წარმოდგენილი მოცემულ შრომაში და რასაც უსათუოდ უნდა ვაცნობოდა ქართველი მკითხველი.

ამ წიგნის სიქველეთა ბოლომდე ჩამოთვლა, მათი მნიშვნელობის სრული განმარტება შორს წავგვიყვანდა, რაიც აღბათ ასეთივე ჩვეულობის შრომას საჭიროებს. აღვნიშნავ კიდევ ერთ საკითხს, რომელმაც განსაკუთრებით მიზაყო ჩემი ყურადღება. სახაროვი მოითხოვს სახელმწიფო-ადმინისტრატული უფლებების მისთვის კუთვნილ ჩარჩოებში მოქცევისა, ინტელიგენციის მუწულდეველობას აზროვნებისა და ხელოვნების სფეროში და მთელ რიგ საწარმოთა და სავაჭრო დარწველუებებათა გამოათვისუფლებას: სახელმწიფოებრივი კონტროლისაგან. აქ ავტორი თაეა მიდის სახელმწიფოებრივი წყობის იმ იდეალურ სამწვეროვან სისტემასთან, რომელიც ამ ნახეგარი საუკუნის წინათ შესთავაზა კაცობრიობას ცნობილმა გერმანელმა მოაზროვნემ და ჰუმანისტმა რუდოლფ შტაინერმა. ესაა სისტემა, სადაც სულიერი, ადმინისტრა

ტიული და ცკონომიური ცხოვრება ურთიერთისაგან დამოუკიდებლად, საკუთარი კანონებიდან გამომდინარე ვითარდება. ისინი როდი აფერხებენ ერთმანეთსურათის ფუნქციებში შეჭრით. ადმინისტრატულ-საკან-



ონმდებლო სფერო იმპერატივებით როდი ბოჭავს დანარჩენებს არამედ ბირუკუ, მისი წარმომადგენელი თავად იმსჯელებინა არჩისა და მშვენიერების იმ იმპულსებით იმპულსებით, რაიც თავისუფალ ინტელექტუალურ ინსტიტუტებს იას გამოაქვს ნებისმიერისათვის სულიერების უკიდღვანი ოკენიდან. ავტონომიის შემთხვევაში უნდა დავაზრდეთ

ზღვეულია არაპრაქტიკულობისაგან წარმოებისა და ვაჭრობის სფერო, რომლის ღვივზად იქცევა არა თავს მოხვეული გეგმების ასრულება, არამედ ვარკვეულ სიტუაციიდან გამომდინარე კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილება კერძო ენიციპიტებისა და სამოცილებლის საფუძველზე.

ადმინისტრატულ-საკანონმდებლო ორგანო იფარგლება წესებისა და ცკით. ნებისმიერი ძალმომრების ადგეითი, მოქალაქეთათვის მშვიდობისა და უფლებების უზრუნველყოფით, თავდაცვის ორგანიზებით ომიანობას მშახხვევაში და ა. შ.

ასე რომ, ცენტრალისაციის მოწლა და სახელმწიფო სისტემის სამ თანაბარნიშვნელოვან ნაწილად განყოფა პრაქტიკულიცაა, უნდრესად ეთიკურიც და ერთადერთი საწინდარი ქეშმარტი დემოკრატიისა. თუმცა სახაროვის წიგნში კონკრეტულად არ არის საუბარი სამწეკროვნებაზე, მაგრამ ნავულისხმევი ამგვარი დიფერენციება.

წერილის მომდევნო ნაწილში მსურს მცირედი პოლემიკა ვაგმართო სახელოვან ავტორთან და ამ წიგნთან დაკეშირებით სამიოდ შენიშნვა მოვაწოლოთ: ერთ-ერთი მათგანი დაზუსტებას წარმოადგენს, მეორე შესწორებას, მესამე კი საკუთარი შეხედულებას წიგნში მოცემული კონკრეტული საკითხის ირგვლი.


წიგნის „ქვეყნისა და მსოფლიოს შესახებ“ მეექვსე გვერდზე ვითხულობ: „ციხეები, განსაკუთრებით ფსიქიატრიული საავადმყოფოები ვადავსებული ადამიანებით, მალულად რომ ცლილობდნენ ქვეყნიდან ვასვლას ან საელჩოში შედწევის, ჰკარავდნენ რა იმედს ამ უფლებების ოფიციალური ვზიგვანხორციელებაზე, აგრეთვე თავისპომაბუზრებელი მომჩივანებითა და „სიმაზლისათვის მეზრძოლებით“. პატიმრობაშია: ათობით ყირიმელი თვაზარი და თურქი-ქეჩესი“.

ვარკვეული მიზეზის გამო ვანსაკუთრებით მიიპყრო ჩემი ყურადღება სიტყვა: „თურქი მესხი“. „თურქი მესხების“ მოძრაობაზე არა ერთგვის წამიკითხავს აგრეთვე „მიმდინარე ამბების“ ქრონიკაში. ვინ არიან ეს „თურქი მესხები“, საიდან ვაჩნდნენ ისინი შუააზიისა, ადერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე? საიდან იშვა ეს შედგენილი სიტყვა?.

თურქებად შევლიდნენ სახელმდებლო მესხებისინამდილეში, უფველეი ქართული ტომის შთამომავალი არიან. 1944 წელს, ორასიათასი მუსლიმანი მსურდელი რამოდენიმე დამეში აკყარეს და საკუთარი სამკვიდრებელიდან შუა აზიაში ვადააახლეს ვითარცა თურქნი. არად ჩათვალეს მათი ქართულად მეტყველება, ქართული ვვარები, წარმომავლობა, ქართველობის შენარჩუნებისათვის წარსულში უხვად ვალერული სისხლი. მძიმე და შესუბამო კლიმატურ პირობებში მრავალი მათგანი დაიღუპა ან დაავადდა. ამგვარად, საბ. მთავრობის „მზრუნველობამ“ ათგვის ვადააჰარბა უურქებისას და მეფის ზუსეთისას ერთად აღებულს.

ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის დროში, როდესაც ვადასახლებული ჩენები, ინგუშები და ა. შ. ვადაბრუნეს სამშობლოში, მუსლიმანი ქართველების დაბრუნების საკითხიც დადგა. თავდაპირველად მესხებმა აღიმაღლეს ხმა და მათ მოწინავე ქართული ინტელიგენციაც მიერთო. თითქოს საქმე აეწყო კიდევ და მესხები ის იყო უნდა სწეოდნენ სახელეკარ მიზანს, რომ ანადღეულად მოსკოვსახელის ერთი აქნევით შეაჩერა ჩინებულად დაწყებულ საქმე და მესხებს მისცა „სრაკის ნებისმიერი ორესპუბლიკაში დასახლების უფლება ვარად საქართველოსი. ამით მთავრობა, რომ ავარადგერი ვთქვათ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაციაზე, უხეზად ვადარღედა თვით საბ. კონსტიტუციის მუხლი, სადაც საუბარია სსრკ-ს ტერიტორიაზე ნებისმიერი მოქალაქისათვის საცხოვრებლად ადგილის თავისუფალ არჩევანზე. ამგვარმა ძალმომრებობამ ვერ ამოურეცხა გულიდან მესხებს სამშობლოში დაბრუნების სურვილი. მათმა საუკეთესო შვილებმა საპროტესტო წერილებით „დაბომბეს“ საქართველოსა და მოსკოვის მთავრობა. ისინი დასებლად ჩამოდიოდნენ და ამჟამადც ჩამოდიან საქართველოში, ექებენ მეოხსა და ქომავს, მოითხოვენ სამშობლოში დაბრუნების კანონიერ, ბენებრივ უფლებას, მაგრამ ხმა მათი რჩება ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ასეა კი ბუნებრივად მივალდებით კითხვებზე „ატომ მიჩინეის“ აკ. სახაროვად და სხვებმა მესხები თურქებად ჩენენ ხომ ვუწყით პატიეგემით აკადემიკოსისა და „მიმდინარე ამბების ქრონიკის“ ზედმიწევნითი ობიექტურობისაკენ სწრაფვა? რაშია საქმე ვავიხსენით რომი ორმოცდაათი წელს, მესხთა ვარად საბ. ხელისუფლებამ აკყარა და ვადასახლდა იმ ტერიტორიაზე ადრე შესახლებული ყარავაფხები, თურქები და ა. შ. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ვადასახლებულთა ეს ნაწილი მოითხოვდა თურქეთში ემიგრაციისა და




გორც ჩვენმა მესხმა თანამომეგებმა გვიაზრეს, მის სახ. მთავრობისაგან საქართველოში დაბრუნებულზე იგი დაყრული მესხების მეორე ჯგუფიც მიერთო. როგორც ჩანს, მათთან ჰქონდათ კონტაქტი ადამიანის უფლებებზე დამცველ მოსკოველ ინტელიგენტებს, მაგრამ როდესაც ამბობენ მესხს, იქ არაფერ შუაშია თურქული დიპლომატიის იქით. ანარსენსიაიმ სიტყვების ერთად წმარება. მესხები უძველესი ტომის უფროსი ტომია. ამჟამად საკუთარი მიწებიდან წაყრილია სამშობლოში დაბრუნებისათვის თავანწირვით მებრძოლი. ამიტომაცაა საშურო ამ სიტყვების ნებისმიერ კონტექსტში მართებულად ხმარება.

ახლა ვადავიდეთ მეორე შენიშვნაზე, ოცდამეერთე ვერგულზე სახაროვი წერს: ხშირად ეს გალიზიანება ტრადიციის, უმეტრების, ცრურწმენებისა თუ კონფორმიზმის სხვადასხვა ფორმების გამო ვადააქვთ ინტელიგენტიანე /რომელიც თავად წარმოადგენს დაჩაგრულ ფენას/, სხვა ეროვნების ადამიანებზე /რუსეთში, ბელორუსიასა და უკრაინაში ებრაელებზე, შუა აზიასა და ბალტიისპირა ქვეყნებში რუსებზე, აზერბაიჯანსა და საქართველოში სომხებზე/. ახლა ვიკითხოთ, მართლაც ამგვარია ქართველების დამოკიდებულება საქართველოში მცხოვრები სომხებისადმი? ანაზე მსურს ცალკე შვიისუბრით, ვინაიდან როგორც კავკასიელსა და კავკასიურ ურთიერთობებში უფრო გარკვეულს, ძალმიძს ამ საკითხში კორექტივის შეტანა.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში გარკვეულ შფოთს ფეხბურთის მოყვარულთა ღონეზე, რასაც ნებისმიერ მეზობელ ერთა შორის აქვს ადგილი, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი გალიზიანებას სომხებისადმი, ან საქართველოში მცხოვრებ სომეხი მოსახლეობისადმი საყოველთაო მისხტებით. იყო მართოდენ მხილება იმ ცალკეულ პირებისა ან დაჯგუფებების, რომელთაც მოინდომეს საქართველოს ტერიტორიალური და ეროვნული პრესტიჟის ხელყოფა. ნამხილები იქნა აგრეთვე საქართველოს წინააღმდეგ შოვინისტურად განწყობილი სომეხური ელემენტების დანაშაულებრივი გამოყენება კელიკოვსკი უოვინიზმის წარმომადგენელთა მიერ როგორც მეფის რუსეთის, ასევე საბჭოთა ხელისუფლების დროს. კვლევი ვიკითხვით: ცალკეული ელემენტებისა და დაჯგუფებების, რადგან ნურც ეოცნებება ვინმეს მთელი სომეხი ხალხის ქართველებზე ამხედრება. ეს მხილებანი წარსულშიაც და ამჟამადაც, ეფონებთან მხოლოდ რეალურ ფაქტებს.

ა. სახაროვი განსაკუთრებით ძლიერია აზროვნების, სატყვის თავისუფლებისა, შეხედულებათა ურთიერთმომენიანობის, ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების, საცხოვრებლად ადგილის თავისუფლად არჩევისა, დამამიწაზე თავისუფალი ვადაადგილების და სხვა თავისუფლებათა საკითხებში. იგი უფადალა მთავრობისაგან უსამართლოდ რეპრესირებულთა დაცვაში. ერთა თვითგამორკვევისა და სსრკ-დან ვასვლის საკიხხსაც მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს იგი. მაგრამ ეს უკანასკნელი მანც არ წარმოადგენს მისი პირველადი ინტერესისა და მისწრაფების სფეროს. რაოდენ მახვილი არ უნდა ჰქონდეს ადამიანს ხედვა, ანალიზისა თუ სინთეზის, თანაგრძნობისა თუ გულმოწყალების უნარი, საკითხთან მწვაჩე, უშუალო დამოკიდებულების გარეშე მინც არ ძალუძს მისი ძირამდე ამოცნობა, კონკრეტულ შემთხვევაში ამ დიდი უნარების ბოლომდე რეალიზება. მხოლოდ პიროვნების უშინაგანესი ნაწევართა გამობრძმედილი გამოცდილება გვიბძძეებს იქით, საითენაც თანაგრძნობით აღვსილი ფილა უნდა ვადამოვიდაროს. ადმინისტრაციის ბიუროკრატიულობისა თუ სხვა მიზეზების გამო შესაძლოა ნებისმიერ სახელმწიფოში დაიჩაგროს პიროვნება და ამგვარი ჩაგვრის სიმწარე ამ ქვეყნის ნებისმიერმა მოქალაქემ ვანიცადოს, მაგრამ ეროვნული ჩაგვრის მწვაწე ვანდა მხოლოდ დაპყრობილი ქვეყნის მოქალაქეებს თუ ძალუძს. ეს გამოცდილება და დამპყრობელი ერის თუგინდ დიდად ჰუმანისტრი მოქალაქის თანაგრძნობა ჰნელად თუ ვახდება ფარდი, რადგან იოლი როდია საკუთარი თავივით ვანიცადო სხვა ადამიანთა ვანცდები. ისიც ცნობილია, რომ მრავალი მხოლოდ საკუთრივ ვანცდილი ავანდყოფობის შემდეგ თუ დაპყრობილი კონკრეტულ დავადებას, მისი არდებისა თუ შეკრნალობის ხერხებს. ასევეა დაპყრობილი ერის მოქალაქე: იგი უკეთ იცნობს დამპყრობელის ფსიქოლოგიას და ხვანჯებას. მხოლოდ დაპყრობილი ერის წარმომადგენელს ძალუძს თვალნათლივ დანახვა რუსული ეროვნული პოლიტიკის მთელის სიგაძე სიგანით, პატარა მეზობელი ერების ურთიერთზე მისევისა და ვადაკიდების იმ ფარული მექანიზმის შეგრძნება, რომელსაც ეს პოლიტიკა იმავე ერების იაიარსყოფად, მათი ეთნიკური აპრელებისა და ასიმულაციისათვის ახორციელებს.

მაინც რა არის მესამე „იმპერია რომანუმ“ის საფუძველი, რუსული შოვინიზმი თუ მარქსისტული იდეოლოგია? ცხადია, ველიკორუსული შოვინიზმი, რომლის ძალა რუსეთის თვალსაჩინო ფიზიკურ უპირატესობაშია. ხოლო მარქსისტული იდეოლოგია, როგორც ერთ დროს მართლმადიდებლობა, ამ შოვინიზმის ტოტალიტარულ სწრაფვათა მსოფლიო მასშტაბით ვანხორციელების საუკეთესო საბაბი, საშუალება და გამართლება*.



მამ მოლით ნუღარ აეურევეთ ერმანეთში საფუძველსა და საშუალებას. თვალსაჩინოებისათვის უმჯობესია ცავისხენით სსრკ-ს ჰომინის პარკელი სტროფები; ასოიუზ ნერუშიმი რესპუბლიკ სვობოდნის სპლოტილა ნავეცი ველიკაია რუს* სწორედ რომ „რუს“ და არა მარქსიზმი თანაჯ „ველიკაია“, ასე რომ გამოდის სხვა მხარე სპუბლიკე ნავეციკი“. სადა ხარ ნაქვეთ თანასწორულფლებიანობა? „სპლიტილა“ მით, რომ „ველიკაია“ ე.ი. ძალით და არა ნებაყოფლობით. ამასთან „სპლოტილა ნავეცი“ ე.ი. უკუნიით უკუნიასამდე. ა.პ.ა, იმპერიებისათვის დამახასიათებელი ტიპური სიამავე და რიდეცმე ქვეშად განსაზღვრე საკუთარ ძალით მარადიულობაში ამპარტანული რუმენა, თანაც იმიჯიტევე უფულვეყოფა სსრკ-ს კონსტიტუციის იმ მუხლისა, რესპუბლიკეების კავშირიდან ნებაყოფლობით გასვლაზე რომ საუბრობს. „ნავეცი“ განიორმავს ნებაყოფლობით გასვლისა, ასე რომ ჰომინი ვერ ნიღბავს ნიადავ დემოკრატიაზე მოღალდე რუსეთის მტაცებლის ქანავებს. სწორედ რუსეთის და არა სსრკ-ს ძლიერებით ამავკოს რუსეთის მთელი სამხედრო უწყებთა. რუსეთი როლი მშვიდდებდა სხვა ქვეყნებში კომუნისტური პარტიების გამარჯვებითა და სათავები ფასკელო, არამედ მათ ტერიტორიაზე საკუთარი ჯარების შეყვანით ან სარაკეო ბაზების მოწყობით. განა შოვენრიზს არ უნდა მივაწეროთ ისიც რომ 1949 წელს რუსეთმა უარყო თანამოაზრე ჩინეთის მოთხოვნა შეეყვანათ იგი სსრკ-ს შემადგენლობაში, რადგან იგი ვერ მოინულებდა მასზე დიდად მრავალრიცხოვან ხალხს და შეერყოდა პოზიციები მბრძანებლისა. საკითხავია, ჩადენდა რუსეთი იმასვე პატარა ერის მიმართ? პირიქით, ასეთ შემთხვევაში რუსეთი სიამონებით შთანთქავდა მას და პარქისტული იდეოლოგიის დროშით წარმატებით შენიღბავდა ტოტალიტარიზმის საფუძვლებს, ველიკორუსული შოვინიზმის მისწრაფებებს. ასე რომ დროა რუსეთის ინტელიგენციამ გააჩრიოს ბოროტების ფესვი და საქვეყნოდ აღიაროს მისი რაობა. რიდეცაქ იგი მთელის სინდისით გააცნობიერებს საბ. ტოტალიტარიზმის საფუძველს, მხოლოდ მაშინ თუ დასვამს ერთი თვითგამორკვევისა და სსრკ-ს შემადგენლობიდან მათი გასვლის საკითხს იმგვარივ. რადიკალობით, როგორითაც თავისუფლების სხვა საკითხებს სვამს იგი.

ხოლო რაც შეეხება სომეხ-ქართველთა ურთიერთობას, მისი ბედი მოლიანად ინტელიგენციის ხელშია, რომელმაც სასურველია გაანელოს გარდასული ამბებისადმი ვენება, რათა ძველის გახსენებით ახალი არ გამოიწვიოს. საკითხავია, ემიგრანტები, ამჟამად რომ სომეხებს მიერთენენ, შესძლებენ: იქ დასავლური ჰუმანიზმისა და ჯანსაღ ინტერნაციონალიზმის ვალდებულებას, სხვისი მიწების და სახელის მითვისების მოსურვე თანამემამულეთა და მოწმინებებს? ჩვენ ვგეგმობთ თავისუფალი საქართველო და თავისუფალი სომეხები. მომავალში ჩვენ შევხვებით და მსხვერპლთი ავტოციდენტული. მხოლოდ მესაღე ხელის ფათორის გარეშე თუ მოვაგვარებთ მიწავე საკითხებს სიმარტოსა და ობექტურობის ნათელით. აი, იქ უნდა ვიდგეთ სიმალეზე ურთიერთდამოკიდებულებაში, რათა კავშირითად დავიმსახუროთ თავისუფლება.

აღვნიშნავ კიდევ ერთ ადგილს სახაროვის წიგნიდან/გვ.34/, სადაც იგი ამბობს ტანჯვით მოპოვებული მოწოდება რუსეთის ნაციონალური მონანიებისათვის თუმცა კეთილშობილია და უპირისპირდება ველიკორუსულ ექსპანსიას, ნაციონალურ ჯანსაღულსა და უბედურებას, მაგრამ ხომ არ არისო ერთი და პეორე და აქვემირებული სახემწერო ფალოსოფიურ შეცდომასთან, გარდუვალად რომ იწვევს ზადსა და ტრაგიულ შედეგებს? ამგვარ ნაციონალურ მონანიებას სახაროვი უპირისპირებს ა. შვეიცერის შეხედულებებს მსგავს რაიმე რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემას, სადაც ყურადღება აღამაინისკენ და არა ეროვნებისკენაა მიპყრობილი. იგი გამოირიცხავს ნაციონალურ მონანიებას და აღამაინს მხოლოდ საკუთარ: დანაშაულის

1. სიმპოზიუმს წმინდა მეცნიერული ხასიათი უნდა ჰქონოდა; სინამდვილეში მის საორგანიზაციო კომიტეტში ისეთი პირების ყოფნა, როგორებიც არიან: ო. ჩერქვეზია(თავმჯდომარე. მინ. საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე), ე. სენიაშვილი(კაცის განათ. განყოფ. უფროსი), ნ. რუხაძე(ქუთაისის პარტკ. მდივანი), ა. კობახიძე(თელავის პარტკ. მდივანი), და სხვები, მოწმობს, რომ სიმპოზიუმიპარტიის და მთავრობის კონტროლს ქვეშ ჩატარებულა და რომ იგი პროპაგანდისათვის გამოუყენებიათ.

2. სიმპოზიუმის საგანი, მხოლოდ ქართული ხელოვნება უნდა ყოფილიყო;სინამდვილეში მასში მონაწილეობა მიიღო რუსების და სხვა მრავალმა სლავთა მეცნიერმა(ორმოცდაშვიდი ,მხოლოდ რუსი იყო),რომელთა მოხსენებები მათ ეროვნულ ხელოვნებას შეეხებოდადა არა საქართველოსას.მაგალითად გ. პოპოვი(მოსკოვი) ილაპარაკა თემაზე: „ელენისტური მოტივები მეთთხმეტე საუკ. მოსკ. ხელოვნებაში“, ო. პოპოვი(მოსკოვი)—რუსულ-ბიზანტიურ-რომანულ ხელოვნებაზე, ტ. იშაილიაშვილი(„ლინინგრ.)სომხურ და იერუსალიმის მინიატურულ ხელ. უთიერთობაზე, მოსკოველმა ბოჩაროვიმაბიხ. ხელ. ტრადიციებზე კვიციის რუსეთში, მოსკოველმა რინდინამ პალეოლოგის სტილზე მოსკოვის ვეტცხელელოზმაზე, ვარშაველმა ტომასევიკიმ სლავურ არქიტექტურაზე, იუგოსლაველმა ბაიმიტმა სერბულ ფრესკებზე, ბულგარიელმა არაშკოვიმა ბულგ. მხატვრ. ახალ აღმოჩენებზე, იუგოსლ. მაქსიმოვიმა სერბიის ხელუბტურაზე, და სხვა.

აქ ჩამოთვლილ თემებს არავითარი კავშირი არა აქვთ ქართულ ხელოვნებასთანეს ფაქტი მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს.გამოდის, რომ სიმპოზიუმის ორგანიზატორებს და მათ რუს ხაზინებს შერთ ქართულ ხელოვნებისადმი გამოქვეყნებული საერთაშორისო ინტერესი და უცდიით მისი გაგარლება სლავური დღეში.

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა და რ ა დ ი ო „ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ”

უპირველესად მინდა შენდობა ვითხოვო. მე არ ვეკუთვნი პოლიტიკურ დევნილთა იმ კატეგორიას , რომელიც რადიო „თავისუფლებაში“ ვერავითარ სიკეთეს ვერ ხედავს. ჩემი შეგნებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსებულ გვალიან საერთაშორისო ვითარებაში, რკინის ფარდის გადაღახვის, თუმცაცალმხრები, მაგრამ მაინც ჩვენ თანამემამულეებთან საუბრის ერთადერთ საშუალებას, სწორედ რადიო „თავისუფლება“ წარმოადგენს. ამ პრივილეგიურ მდგომარეობას იგი დღესაც ინარჩუნებს და ეს ასე იქნება სანამ მსოფლიოში ნამდვილი დეტანტი არ შეიქმნება და სანამ ადამიანების, იდეების და რწმენის აგისუფალ მიმოსვლას არ ექნება ადგილი.

ამიტომ რადიო „თავისუფლების“ სწორი და უნაკლო მოქმედება , ჩვენს ზრუნვის მუდმივი საგანი უნდა იყოს. რადიო „თავისუფლება“ მაშინ შეასრულებს წარმატებით თავის მისიას, თუ იგი დიამეტრალურად განსხვავებული იქნება საბჭოთა რადიო გადაცემებისაგან. ე.ი. . მაშინ როდესაც საბჭოთა რადიო წარმოადგენს ხელისუფლების პოლიტიკის პროპაგანდის საშუალებას, რადიო „თავისუფლება“ , როგორც ამას სახელიც გვანიშნებს, უნდა ემსახურებოდეს ამბების და მოვლენების რამდენადაც შეიძლება, ჭეშმარიტ ინფორმაციის მიწოდებას , ხოლო მსმენელს საშუალება უნდა მიეცეს არჩევანის გაკეთებისა. სხვანაირად

რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებულ გონების რეცხვას, რადიო „თავისუფლება“ უნდა პასუხობდეს გონებისათვის საზრდოს მიწოდებაზე ზრუნვით.

ყოველივე რიგზეა ამ მხრივ რადიო „თავისუფლებაში“? სამწუხაროდ არა.

როცა დაგვიკვირდა და მის კარებზე დავაკაკუნეთ, ჩვენს აღმადგინებს ცივი წყალი ვადაასხეს. ჩვენდა განსაკვივრებლად, რადიო „თავისუფლება“ არც ისე თავისუფალი გამოდგა, როგორც ეს ჩვენ წარმოგვედგინა. მაგალითები? მოგახსენებთ უმთავრესით:

1 1973 წელს, ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ დაგვო ბ. კ. სალოას მიერ საქართველოს გასაბჭოების პირობების, განგებ დამახინჯების ფაქტი. აუცილებლად საჭიროებას წარმოადგენდა, რომ საქართველოში ეწინააღმდეგებოდა ეს ამბავი. „თავისუფლების ტრიბუნაში“ ჩვენ დაგებულეთ ცნობა ამის შესახებ და ასევე – პარტიათა დადგენილებები. რადიო, არამც თუ მომხდარი ამბავი არ გადასცა, არამედ „თავისუფლების ტრიბუნასაც“ ამ საკითხში ცენზურა გაუკეთა. როცა პასუხი მოვთხოვეთ, ქართული რედაქციის მთავარმა რედაქტორმა გაგვიცხადა: არაფრის გადაცემა არ შეგვიძლია, რაც ემიგრაციის განხეთქილებას გამოამყვანებდა.“

2 საკითხი ეხებოდა ალ. სოლჟენიცინს. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ „გულაგის არქივალაგის“ და სხვათა ავტორის საქებრად კალამი არ დამლდია, მაგრამ მისი „წერილი საბჭოთა კავშირის ლიდერებს“ მცდარად და მანერდ მიმანჩნია, რუსეთის და მის მიერ დაპყრობილ ერთა მომავლისათვის. როცა მოვიხდომეთ ამ საკითხზე ჩემი აზრი გამეზიარებია რადიოს მსმენელებისათვის, ცივი უარი მომახსენეს. მოტივი? „არაფრის გადაცემა არ შეიძლება, რაც სოლჟენიცინის შემოქმედების კრიტიკას შეიცავს.“

3 მიმდინარე წლის დასაწყისში, გაიგიათ აჟაღიმიერ ჟენაისათვის სიკვდილის მისჯის ამბავი. რიგმა პოლიტიკურ პარტიებისა და გამომცემლობებისა საპროტესტო განცხადება გაგაკეთეთ. მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს და ჰუმანიტარულ დაწესებულებებს მივმართეთ – გადაეჩინათ ქართველი პატრიოტის სიცოცხლე. რადიო „თავისუფლება“ არც ეს დოკუმენტი, არც ჩვენი ჟურნალის მეთექვსმეტე ნომრის არსებობა, რომელიც თბილისის სამი პროცენტის მათრადიან დეძღვნა, ნახსენებია არ ყოფილა, არც ჩემი პირადი მიმართვა-გადაცემა ჟენაის სიცოცხლის დასაცავად დაშვებული არ იქნა.

მოტანილი მაგალითები, თავისუფლების და დემოკრატიის უგულვებლყოფის ისეთი აშკარა ფაქტებია, რომ მათი დამალვა მანერბლად მიმანჩნია იმ საქმისათვის, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით.

რ ა დ ი ო „ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს „ ე რ თ ი ც უ ლ ი გ ა დ ა ც ე მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

„თავისუფალ გაკიცხვის გარეშე, არც საამო ქება არსებობს“
პიერ-ოგუსტენ-კარონ ბომარშე.


ა/წ.24 იანვარს, ნოე ჟორდანიას გარდაცვალებიდან მეოცდაოთხე წლისთავის აღსანიშნავად, რადიო „თავისუფლება“ გადასცა ბ.ნ. ალექო ლორიას საუბარი სათაურით: „ნოე ჟორდანია, როგორც მამულიშვილი“. სამწუხაროდ ამ გადაცემაში, ალბათ ავტორის უნებურად, დაშვებულია სერიოზული დამახინჯებები, რომელნიც საჯარო გასწორებას მოითხოვენ.

„შეიძლება დავსვათ კითხვა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ნოე ჟორდანიას პიროვნების გარეშე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა?“ სევამს კითხვას ბ. ლორია თავის რადიოგადაცემაში და თვითონვე პასუხობს: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ არა!“

საბჭოთა საქართველოში, ოფიციალური ისტორიკოსები და პროპაგანდისტები ხალხს ჩასჩიჩინებენ: ქართველ ხალხს რუსებისაგან მოშორება არ უნდოდა, მაგრამ ჟორდანიამ და მენშევიკებმა მოახვიეს ძალით თავსო. ბტონი ლორია თითქოს მათ ბანს ეუბნება: გადაჭრით შეიძლება ითქვას, ნ. ჟორდანიას პიროვნების გარეშე, საქ. დამოუკიდებლობის აღდგენას ადგილი არ ექნებოდაო.

არ მგონია ალ. ლორიას თვითონ ასე სწამდეს. უფრო დასაჯერებელია, რომ მას უნდოდა განსაკუთრებული პატივი ეცა მის სათაყვანებელ პრეზიდენტისათვის, ხოლო სინამდვილეში ცუდი სამსახური გამოუვიდა.

1918 წლის ოცდაექვს მაისს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია გააკეთა პრეზიდენტმა ნოე ჟორდანიამ, ეს იყო შედეგი მაშინდელ საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის აუცილებლობით ნაკარნახები. ყველა პარტია, ბოლშევიკების გამოკლებით, ამის მომხრე იყო. ის



გამოცხადდა ქართველი ხალხის დიდ უმრავლესობის სურვილით. იგი წარმოადგენდა არა მცოთუ სურვილს, არამედ ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სიყრმის შვილივით ნაზარდ ნატერას და ოცნებას. ამტკობთვით ისეთი კითხვის დასმაც კი, როგორსაც ბ. ლორია სევას, დიდი შეცდომაა. დიდი შეურაცხყოფაა ქართველი ერის მიმართ. რა თქმა უნდა, ასეთი გაგებით, სრულიადაც არ მცირდება ნ. ჟორდანის როლი და მნიშვნელობა, საჭ. დამოუკიდებლობის მომზადების, გამოცხადების, დამოუკიდებლობის შენარჩუნების და მის დატევის საქმეში.

საჭ. დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომ ისტორიული აუცილებლობა იყო, რომ ის იყო აუცილებელი, საჭირო და დადებითი აქტი, ამას თვით საბჭოთა საქართველოს ისტორიოგრაფები: მენაბდე და სიღამონიძეც არ უარყოფენ, რისთვისაც ისინი დასაჯეს, ხოლო სხვები, რომლებიც ამის თქმას ვერ ბედვენ, რეპრესიების შიშით, სიჩუმეს არჩევენ და ამ პერიოდს საქართველოსას სრულებით არ ახსენებენ. მიუხედავად იმისა, რომ ფრთხილად უნდა ვიყოთ. მეზობლებამ არ უნდა გაგვიტაცოს.

იძულებული ვარ შევინაშნო, რომ ამ გადაცემაში სხვა ადგილებიც არ ბრწყინავენ. მაგალითად: „ნოე ჟორდანია უწინარეს ყოვლისა ქართველი იყო“. ან: იგი ქართულად უქადაგებდა თავის მოძღვრებას ქართველ ერსო“. და ბოლოს: „ნ. ჟორდანია ერის დიდების მწვერვალზე ავიდა, როგორც უგვირგვინო გვირგვინოსანი, ხოლო ქართულმა პოეზიამ მას ნოე აღმაშენებელი უწოდაო“.


ეს ხომ მეზობლების დაბალი დონეა, იმ ინტელექტუალის, რომელიც დღეს საქართველოში, რადიო თავისუფლებას უსმენს, ასეთი რამ სულიერად ვერ დააკმაყოფილებს. ჩვენმა ისტორიამ ერთადერთი აღმაშენებელი იცის — ეს არის მეფე დავით მეორე. ნოე აღმაშენებელი არც არსად წამიკითხავს, არც არსად გამიგონია დღემდე, განსვენებულ პრეზიდენტის თავყანისმცემელ წრეებში კი მსმენია, რომ მას „დიდ ნოედ“ იხსენიებდნენ.

გიორგი წერეთელი.

სამკლოვიარო განცხადებები.

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:

ქალაქ ფრანკფურტში, გასული წლის ნოემბერში, გარდაიცვალა ყარაიმან დათეშიძე.



ამა წლის ოცდახუთე მაისს გარდაიცვალა და პირველ თიბათვეს მიზარდა მიწას რაკოვეცის სასაფლაოზე, ქ. კრაკოვში, პოლონეიკი გრიგოლ (გიგა) ტურაშვილი, არტილერისტი, საჭ. სამხ. სკოლის იუნკერი, ტაბახმელას ვმირი, დაბადებული ქ. გორში.



მიმდინარე წლის ივლისში, თბილისში, სამოცი წლის ასაკში, გარდაიცვალა სეგრე ვილაძე.




პარასკევს ცხრაშეკ აგვისტოს, ლევილის სასაფლაოს მიაბარეს, ამონდანის მოხუცთა თავშესაფარში გარდაცვლილი რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი

„თავ. ტრიბუნა“ გლოვობს მათ დაკარგვას და ღრმა მწუხარების გამოცხადებულ სამძიმარს უცხადებს მათ კირისუფლებს.

მ ე გ ო ბ რ ი ს მ ო ს ა გ ო ნ ე ბ ლ ა დ

მეძნელება წარმოვიდგინო, რომ წელიწადზე მეტია რაც ჩემი ფრიალ ახლო მეგობარი მიტო სინდიკელი გაგვშორდა. დრომ რომ ასე ჩქარა გაიბარა ნიშნავს იმას, რომ იგი არ მაკლია? როგო არა მე მას გლოვობ და იგი მაკლია მეტად ვიდრე სხვა ვინმე ან —სხვას ვინმეს შეიძლება აკლდეს იგი. მე ის ისეთ ახლობლად მიმანდა ვით ჩემი მამა. მან ჩამომაყალიბა მე ვითარცა კაცი და სწორი გზით მიმართა ჩემი ცხოვრება.



მთელი თავისი არსებით ქართველი იყოიგი და ასეთად ყოფნას მოითხოვდა სხვისგანაც და გვაიძულებდა ჩვენ წარსულით აწყობით და შეგნებით ასეთად გყოფილიყავით. იგი ხშირად იყო ნერვიული მოუთმენი და უხეშო კი , როდესაც კაცს გადაწყვეტასა და მოქმედებაში მერყეობას დაუნახავდა. მოქმედება ხანდახან ალბის ქონებასთან შებარდებით შეგვიძლია შევადგასოთ და რა მცირე შესაძლებლობის და საშუალებათა მქონემ გააკეთა მან ამდენი რამ. მან მაქსიმუმი გამოიღო თავისი არსებიდან, რისთვისაც მართლაც რომ დასაფასებელია იგი. ადვოლია ვალება მისათვის ვისაც ბევრი აქვს, მაგარამ— ახელია— როცა შეძლება ვიწროდ განსაზღვრულია. მთელი მისი სიცოცხლის განსაველობაში მას არასოდეს შერყევია კონცეპცია, რომელიც მას ცაკურ მხნეობაზე ჰქონდა. იგი მუდამაქმ მზად იყო თვისი სიცოცხლე გაეწირა სამშობლოსათვის და სწორ მართალ მიზნისათვის თავის ჯანმრთელობას სწირავდა. მისი ისრაელში მგზავრობა სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში და მისი მუშაობა ქართულ ვახუთისათვის მაშინ როდესაც მას საავადმყოფოში მკურნალობდნენ უკვე მისი დაუზარები მისგლა-მოსვლა და კვლავ ყოფნა იქ სადაც ქვეყნისათვის ზრუნვა ყოფნა მოითხოვდა, და უვიწყყარად აღიბეჭდა მისი მეგობრების ხსოვნაში. ყველასათვის ვინც მასმართლა იცნობდა მან დატოვა სახე თავზე ხელაღებულად მებრძოლ ქართველ ემიგრანტისა, ამიტომ არის იგი ეგზომ დასაფასებელი და მისი მოქმედება განცვიფრების მომგებელი. ვისაც ის უნახავს მის ნიუიორკელ ბინაში— ქალაქის უბანში, რომელსაც შეიძლება ნამებრძოლ ვეტო ვუწოდოთ, იგი მას წარმოუდგება ვით ერთი იდეალისტი დაკარგული დღეგანდელ მატერიალისტურ სამყაროში. ან— ვითარცა ერთი დონკიხოტაიანი მეოცე საუკუნისა.

მშვიდი განსვენება მიენიჭოს მას ლევილის ქათულ სასაფლაოზე და ასრულებულიყოს მისი ოცნება.

გ ი ვ ი ზ ა ლ დ ა ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი .

კომპოზიტორ ერეკლე ჯაბაღარიის ნეშტის გადასვენება საქართველოში.

ბატონმა ილია ჯაბაღარამ ძმური ვალი პირნათლად მოიხადა, სათაყვანებელი ძმის ანდერძი აასრულა და კომპოზიტორ ერეკლე ჯაბაღარის ნეშტი წელს თბილისში ჩაასვენა. უკვე ათი წელია, რაც არა ერთი თხოვნა დაქორნა ბატონ ილიას; რომ ეს ერთი შეხედვით იოლი და ზუნებრივი სურვილი დაგკმაყოფილება და საბ. ხელისუფლების ნებართვა მიეღო. როგორც სამართლიანად აღნიშნავს თვითგამოცემის კრებული „საქართველოს მოამბე“, ერეკლე ჯაბაღარის ოჯახი რევოლუციამდე, 1910 წელს წამოვიდა უცხოეთში, განსვენებული, საქართველოს დაპყრობის შემდეგაც არ ჩარეულა პოლიტიკურ საქმიანობაში , რასაც შეიძლება აკრემის ბატონების განრისხება გამოეწვია. საბ. ხელისუფლება მაინც ეკვის თვალთ უტკეროდა ქართველი კომპოზიტორის ნეშტის სამშობლოში გადასვენებას და ყოყმანობდა. ალბად ის ამაში ხელადავა ქართული პატრიოტიზმის გამოვლენებას და ეს ხომ მისი საფრთხობეღა!

ერეკლე ჯაბაღარი გარდაიცვალა ორმოცდაექვსი წლის ასაკში ქ. ნიკაში . იყო ნიჭიერი პიანისტი და კომპოზიტორი. მის მიერ შეთხზულ ნაწარმოებთაგან ყველაზე სახელგანთქმულია, „ქართული რაფაელია“ ; ირ. ჯაბაღარიეთი პირველთაგანია ქართული კლასიკური მუსიკისსაფუძვლების ჩაყრის აქმეში. სიცოცხლეში ის მხურვალედ განიცდიდა საქართველოს სიყვარულს. სული მისი ალბად ადრევეც ქართულ არეში განისვენებდა. დღეს მისი ხეტყტამშობლოს მიწას მიებარა. საუკუნო სასუფეველი დაუშვიდროს უფალმა სასახლო მამულიშვილი.

პეტრია ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას პატიმრობიდან განთავისუფლებისათვის

ბატონმა დანიელ ისრაელაშვილმა გამოვლიგზავნა პეტრია, რომელსაცინათქვამია: „ჩვენ ქვემოთე ამისა ხელისმომწერნი, ისრაელის მცხოვრებლები, გამოვდივართ რა მოსაზრებიდან, რომ აუცილებლად საჭიროა ჰელსინკის შეთანხმების ცხოვრებაში გატარება, მოვითხოვთ განთავისუფლებულ იქნან პატიმრობიდან ქართული ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები, ჰელსინკის შეთანხმების ცხოვრებაში გატარების თბილისის მეთვალყურე ჯგუფის ხელმძღვანელები, ზვიად გამსახურდი და მუსიკოლოგი მერაბ კოსტავა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი უკანონოდ არიან დაბატონებული.

ჩვენ ასევე მოვითხოვთ, რომ ხელისუფლებამ შესწყვიტოს მათი ოჯახების და ნათესავების დევნა.“

პეტრციას ხელს აწერს 2 5 0 პირი. ხელისმოწერა გრძელდება.



ზვიად გამსახურდიას მოაქვს საყურადღებო **საჯალობელი**, რომლის შეოთხე საუკუნის ქართული დღესაც საკმაოდ გასაგებია. ერთი სიტყვა თითქმის მოითხოვს ა არტება და გამსახურდია ხსნის მას თავისი, აწერის თავშივე; ეს სიტყვა არის „საწმისი“.

ჯერ მინდა შევეხო სხვა სიტყვას: „გარდამოხდა“. ეს ზნა, რასაკვირველია, დღესაც გასაგებია, ძველ ნაწერებში „გარდამოხდომა“ ზნითადა იყო დაკავშირებული წვიმისთან და საერთოდ ნიშნავს : რამეს გადმოსვლას ზევიდან ქვეთი რამეზე. ამხმრავ „მეტაფორა“ მოსწრებულია, როცა დიდების ავტორი უგალობს ღვთისმშობელს: „...გარდამოხდა შენ(ს)ზედა, ვითარცა წვიმა საწმისისაზედაო“...

მინაარსი ამ შედარების ყოველი ექვსი გარეშეა : ზეციერი ძალით მოქმედება წარმოებს ზევიდან ქვევით; წვიმა ხდება საწმისზე და მასთანადამე ამ შემთხვევაში საწმისი „წვიმის მშობელი ვერ იქნება“. საწმისი ქართულად ღრუბელს ნიშნავს ყოველგვარად გამსახურდია თვისი წერილის დასაწყისში დამს ეს ღრუბელი ტექსტის მრუდე გაგებით ცაში ეხატება როგორც „წვიმის მშობელი“. ღრუბლის დიდებარეობა ცაში, ტექსტის გარეშე, რადგანაც იქ ღრუბელი საერთოდ არ არის ნახსენები, ძალაში ნამდვილად იყო მეტრე საუკუნეშიც. დროთა ვითარებაში კი ღრუბელს მიემატა სხვა მცნებაც, დღეს ღრუბელი წყალში დაცა იპოვება როგორც ზღვის მცენარე და მიწაზედაც ინმარება როგორც ჩვარი.

საწმისი ქართული სიტყვაა მას ქართულზე იარგმნარ სჭირდება; არც ნაძალადევი ფონეტიკური ჯამბახობა, „საწმისი-საწმისი-საწმისი“, მიზანწერილი არ არის, რადგანაც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და სავსებით წინააღმდეგება ქართულ ფონეტიკას და მორფოლოგიის კანონებს.


„საწმისი“ არის ქსოვილი დამზადებული თხის ბალანიდან ანუ მასთან ნარვე ბეწვიდან, ნ. მარის მიხედვით, „წამ“, სიღნაღე წარმოიშვა საწმისი და წამწამიც, და „თამა“ იგივე ძირის სიტყვებია... ეს თმინი და ტანტე ქსოვილი მისი თვისების გამო, იხმარებოდა განსაკუთრებით მონატრებში; პერანგად ნაკერი, მის ინგლისელი „თმის პერანგს“ უძახის, და ტანცელი, საწმისი ემსახურებოდა ასკეტურ მიზანს ხორციელ წადილთა და ვნებათა მოსაკლავად.

სამონასტრო ცხოვრებაში, საჯალობელში ნახსენები საწმისი, — გაუგებარი, იშვიათი ანუ მოულოდნელი სიტყვა და სავანე ვერ იქნებოდა, მეტადრე ღვთისმშობლის უმანკოებასთან და მორჩილებასთან დკვეშირებით. მიუხედავად ამისა საწმისის თუნდაც არაპირდაპირი საფუძვლიანობის შედარება ღმერთისმშობლისა, მისი წვიმის მიმღერი თვისების გამო, მაინც დღევანდელ საერთო ყურადღებას აჩერებს ხოლო არ არის გადამწერის შეცლომა? დამჭირდა უფრო ბეჯითი მიდგომა და მოექჩება. გადავიკითხე ანუ მიმოვხილვედა ზოგჯერ მეხსიერებაში აღვადგინე ზოგი ბიზანტიური, ქართულია მეტადრე უფრო მისაღწევი, ლათინური და ფრანგულ-იტალიურ-ინგლისური, მრავალი და სხვადასხვა ვანიარი ეპიტეტი-მედარება, რომელიც ნახმარია ღვთისმშობლის უმარავ დიდება, ქებებში, რასაც ფრანგი უძახის, „შან ა ლა ვიერე“ (გალობანი ღვთისმშობლისადმი) და დავერწმუნდი ჩვენი დიდების მეტაფორის კანონიერ მოსწრებაში და იღუმალ ძალაში-დაც. გამოიტყდები, ვფიქრობ ჩვენი დიდება იყო დანიშნული უფრო მინაზონებისათვის ვიდრე ბერთათვის; მაგრამ ამ დებულების განმარტლება არ ძალმიძს.

გამსახურდიამ დიდი ყურადღება მიაქცია საწმისს; ამ მხრივ ის მართალია; მაგრამ ის არ ირწუნე გაკვირვებას, არამედ ის პირაქით უტყდალათ აღტაცებულია საწმისით, აცხადებს მას ღრუბლად და თავყანისცემს მას და მისგან მოსულ წვიმის როგორც „ლოგოსის“ მშობელსაჲ!

ამგვარიანე-დარევა კაცობრიებაში ორიათასი წლის განმავლობაში მყარად გამჯდარ და საერთოდ მიღებულ მცნებათა და მრწამსის და უკუღმა გაგება როგორც საჯალობელის ისევე მოციქული იოანესაგან სხარების, მძიმე და არანორმალურ შთაბეჭდილებას ახდენს.

გამსახურდიას წერილის მიზანი არის განგვიმარტოს მისი ჟურნალის სახელწოდება და ის გვეუბნება: „საწმისი... წვიმის მშობელია, ... რომელიც გარდამოხდა... მიწაზე, ვითარცა წვიმა...“ მაგრამ, რასაკვირველია, აღმნიშნის შეუღლია სხვანაირად წაკითხვის ეს. ვფიქრობ გამსახურდიას უნდოდა ეთქვა: საწმისიდან შობილი წვიმა და ლოგოსი, დაცეა მანამდე მშრალი ღვთისმშობლის მიწაზე და ორივეტარის, „სანუგვარი“ო... და გამსახურდია დასკვნის: „აი რატომ დავრქვა ჩვენ ჟურნალს „ოქროს საწმისი“ო.“ საწმისი კი ახლა ნაკლებად გვაკვირვებს, რადგანაც უკვე ვიცით რედაქტორის აღფრთოვანება ღრუბლით, საიდან მოვიდა ოქრო?



ოქრო ძალიან სჭირდება გამსახურდას, რადგან ოქროს „მისტერიული“ სამუალებით გამსახურდია აძლევს, თუ არ ცვდება, ოთხს ანუ ხუთს მნიშვნელობასთვის საწმისს, ერთი, და ალბად დასაყრდნობა არის ოქროს ღრუბელი. მეორე, „ოქროს საწმისი“ (ე.ი. ეურნალი), მარადფაშული სიმბოლოა კოლხური, ქართული, ლტურისა“ ო. მესამე, „ყველა ახსენდება არგონავთების მითი, მედვე, ოქროს საწმისი“ ო. აქედან ირკვევა იგივეობა, ოქროს საწმისის და ოქროს ვერძის. რა ჯადოსნობით მოხდა ღრუბლის ეს გარდაქმნა ანუ გამსახურდია არაფერს გვეტყვის. მეოთხე ანუ მეოთხე და მეხუთე გარდაქმნა არის უფრო რთული, მაგრამ უთუოდ უფრო მნიშვნელოვანი, რადგანაც აქ „ვერძის ზოლიაქის განმეგბლობის ეპოქაში“ (?) პირველად არის გარკვეულად დასახელებული ოქროს ვერძი, როგორც „კოსმიურ ძალებთან ზიარების სიმბოლო“ — „ხოლო“ (?) ამ ზიარების შედეგად აღმოცენებული სიმბრძნე—საწმისია ცხოველმყოფელი წვეთის მომადენი“ ო. ამას უთუოდ ლოს დევს: „დაე ნუშე შეეწყვიტოს არსთა მხადს ეს წვიმა“ ო. მეუბნებიან „დაე“ თითქოს არის ფონეტიკურად რუსული „და ნე“ „რომელიც თურმე სწორედ მოითხოვს გამსახურდას მიერ ნახმარს უარყოფას, „არ მოხდეს“. მე პირადად ვაპირებ დარჩენას ქართულ ჩარჩოში და უარს ვამბობ ვეცადოს გამსახურდას ქართული და—პოეზია, სხვა ენის მიღწეული. თუმცა „ა პრიორი“ რუსული გავენა ალბად მოიხახმება წერტილი. ამასთან დაეკავშირებით მინდა ვთქვათ იმეუთითი ნიშნებზე ე.წ. ოქროს ნიშნები „გადაგვარების. ბილინგვური წრე ანუ საზოგადოება არის ის სადაც ხმარებაშია ორი ენა. როცა ერთი მათგანი იმარჯვებს, ე.ი. ჩაგრაგს მეორე ადგილობრივ ენას და იკავებს მის ადგილს, ამას ჰქვია ბილინგვური გადაგვარების პროცესი. გამსახურდას წერილის პირველ წინადადებაში ორჯერ ნახმარი ზედმეტად და არა სჭიროდ „ქართულად“ და „ქართველად“ არის დამახასიათებელი და ცნობილი ნიშნები ბილინგვური გარემოში. მე პირადად აღვიზარებ ბილინგვურ სინამდვილეში. მაშინ ქართველის მიერ რუსულად გაკეთებულ მოხსენებაში განმარტებით ნახსენები „ქართველი“ ანუ „ქართული“ იყო ხანდისხანს სავითარა არა ქართველ მსმენელისათვის მოხსენების სწორედ გასაგებად, მაგრამ აგრეთვე იყო საშვალეა ერთგვარი ეროვნული თავდაცვის და პროპაგანდის, დღეს საქართველოში წარმოებს უკუღმართი ვითარება. ქართველი ავტორი ქართულ ტექსტში გვეტყვის: „ნ. ნიკოლაძე იყო ქართველი მოღვაწე ორ საუკუნეთა მიჯნაზე“ ო ანუ პოეტიკრიტიკოსი აღნიშნავს რუსთაველის რომელიმე მოწვეულ ქართულ შიარსს. გამსახურდაც მოყვან ქველ ქართულ ტექსტის ავტორზე გვეტყვის ის იყო ქართველი ჰიმნოგრაფი.

ქართული ენის დასაცავად მინდა აღვნიშნო ზოგი რამ. ქართველი მეოთხე საუკუნიდან ვალობს მრავალჟამიერს „უამში“ არის არსებითი სახელი, რომლის ზედსართავი სახელი არის „უამაიერი“. გამსახურდა იტყვის „უამულს“, რადგანაც ეს მრავალჟამიერი სიმეცხე უხდება მის გემოვნებას და საერთოდ დამახინჯების ზრუნვას. ქართული ენის „მოღერნიზაციასაც აქვს თავიძი წესი; „გარდამოხდა“ დღეს ითქმის „გადმობხდა“ და არა „გარდმობხდა“. ქართული მორფოლოგიის კანონით ითქმის „გამეგე“ და „გამეგება“ და არა „გამეგება“ ანუ „გამეგებობა“, რადგანაც „მ“ არის აქ წინსართავი და არ ეკუთვნის სიტყვის ფუძეს, რომელიც არის გება და არა მეგება; უკანასკნელი ფუძე ქართულში არ ატებსობს და ქართული ეტიმოლოგიის ძალით არც შეიძლება არსებობდეს.


მასალაზე ასტროლოგიური და მეტეოროლოგიური გადახრის შემდეგ, გამსახურდა უეცრად იხსენიებს „არსთა მხადს“ (?), რომელსაც როგორც სჩანს შეუძლია შესწყვიტოს „ეს წვიმა ეს მალო“ და იტყვის გამსახურდა : „და ნუშე“ ..მის არ უნდა შესწყვედეს წვიმა, მაგრამ ის არ ზედავს პირდაპირ მიმართოს თხოვნით ანუ ბრძანებით „არსთა მხადს“ .

გრამატიკის მიხედვით უკუთქმითი ბრძანებითი აკრძალვისათვის იხმარება ნაწილაკები ნუ და არა სუბიექტიურ წყობაში ნუ უფრო რბილი ფორმაა, ნუ იზამ. და არა— „უფრო მკაცრი ფორმაა არ ენა. ნაწილაკის მიხედვით მოქმედი პირი არის სახლობითი ბრუნვაში, ნუ შესწყვიტავ— მან არ შესწყვიტა, მან არ შესწყვიტოს. ობიექტიურ წყობას არა აქვს პირდაპირი ბრძანებითი ელო. ეს წყობა ბუნებითი პასიურია ჩვენებითი მოქმედი პირი, რომელიც ნამდვილად არ მოქმედებს, არის მიუქმითი ბრუნვაში.

არის ზმნები, რომელთა აქეთ მხოლოდ ობიექტიური წყობა; ეს ზმნები აღნიშნავენ მდგომარეობას სადაც აღდამიანს ნება უძლურია; ამიტომ მათ არა აქვთ ბრძანებითი ელო. აღდამიანს სატივა, სწყურია, სძინავს, სცივა, უყვარხ, და სხვა.

გრამატიკის მოგონების შემდეგ მგონია მთლად გასაგებია, რატომ ქართული ასოებით დაწერილი „დაე ნუშე შეეწყვიტოს არსთა მხადსეს წვიმა“—ქართული ენა არ არის.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ გამსახურდას ყოყმანი ანუ სიძნელე პირდაპირ, სუბიექტიური ფორმით მიმარ-



თოს „არსთა მხადს“. მაგალითად „ნუ შესწყვიტავ წვიმასო“ ანუ „არ შესწყვიტო წვიმაო“; მაგრამ ეს მხოლოდ ასე არ არის, რადგანაც იმავე წინადადების შემდეგ სტრიქონში ირკვევა „ამ მისტერიის(„) არა შეგნებულა ებღებმა უკვე მიპმართეს მისა“ (არსთა მხადს ?) და ახლა „ჩვენც“ იტყვის გამსახურდია ალბად თანამშრომლებთან ერთად ხანაგების სახელით, „ამ მისტერიის შეგნებულებმა“ „ჩვენ მიემართოთ მას...“ ამას მისდევს სურ სხვა ამბავი, ლექსის გარეგნობით დღაგებულ „ვეფხტაბუა“; სადაც არც წვიმის შესწყვეტის საკითხი, არც „არსთა მხადს“ უკვე მოხსენებულნი არ არიან, მაგრამ ვინ არის ეს არსთა მხადი? ამ შემთხვევაში ქართული გასაგებია, ის არის ის ვინც ხდის არსებს, როგორც მაგალითად ხდიან არაყსა.

რაც შეეხება ვერძის ზოდიაკოს „ეპოქას“, ზოდიაკოს ჩარხისმოქცევა იწყება გავაფხულს, და გავაფხულსაც ეკუთვნის ბუნების განახლება და ქრისტიანული გამოცხადება რომელსა ღღესასწაულს სწორედ არის მიძღვენილი გამსახურდიას საგალობელი.

ამ საგალობელის ავტორს, გამსახურდია სავსებით სამართლიანად ახასიათებს როგორც ჰიმნოგრაფს რადგანაც მოყვანილი საგალობელი არის ჰიმნი ანუ ქართულად დიდება; ის იწყება კიდევ ზმნით „გადიდებთ“

საეროდ განწყობილ ადამიანს შეუძლია შეიგრძნოს დიდების განცდა მოგონებითათვისი ეროვნული დიდების; დღეს ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი ჰიმნი. აქ მოყვანილი დიდება კი არის ქება მნიშვნელოვანი (ჩვენც „ხანისათვის“) მომხდარი ამბისა. დიდებთ ვარემო, გვიგოლ ორბელიანის არ იყოს, არის „ყუავი-იოვანი წაღკოტა“ რომელშიც სუფევს გავაფხულის სიხარული და შვება; დიდების ხმა არის ამაღლებული, ზე-დნიერი. გამსახურდია კი იტყვის: „ჰიმნოგრაფი დაღადებსო“ .დიდების დაღადი გაუგონარი ამბავია! დაღადის პირველი მნიშვნელობა არის კვენესა, ოხვრა, უსიტყვო დუმილი; დრომ მას მიუმატა გასაგები სიტყვაც: დაღადყო; მაგრამ საფუძვლად დარჩა სიმძიმე რომელშიც არ არის აღფრთოვანება, რომლის ხმა არის თითქმის ბნანი, დამბიო; და როცა ნაცადი განცდა არის ეულად თქმული, მასზე ითქმის „კითირცა ხმა დაღადისა უღადისა შინაო“. დაღადის ხმა მოუღებოდია იმ დამშრალი მიწის დუმილის გარემოს, რომელსაც საუბედუროლო მხოლოდ გაკვრით შეეხვამსახურდიამ.


საგალობელის შინაარსი, ვთქვათსაწმისის გარეშე, ეს არის დიდება იმ სიღღმლოს რომელიც გაღღმოვიდა ღღთისმშობელზე, და რომელსაც მახარობელი ლუკა აღნიშნავს გაბრიელ ანგელისის ძახილით: „გვხაროდენ“... ეს მოხდა ოცდახუთ მარტს და სრულ ცხრა თვის შემდეგ, ოცდახუთ დეკემბერს, უბიწო ქალწულმა შვიტა გაყო, რომელსაც დაერქვეიეს; „ინხარობდენთ ყოველი დებადებული, რამეთუ ღღერთი გამოჩნდა დღეს ხორციელად და ბეულემს შინა მშობლი, ქვავსა შინა შეხვეული, აცხოვენებს ადამიანთ და გამობრწყინენებს ნათელსა საღმრთოსა“, ადასტურებს სხვა საგალობელი.

გამსახურდიას დიდების დამწერი ალბად კაცი იქნებოდა და შესაძლოა მიწვენილი რომელიმე ქრისტიანურ მისტიკაში. ვთქვათ ეს მისტიკა(საიღღმლო), გამსახურდიას გასახარებლად, იყო პრეისტორიული კოლხეთის მისტიკრიის ნაშთი გაღღახართული ქრისტიანურ ღღგამტიკასთან რომელიმე ბუქვენტა-ჭკონდილის ხაზით. ამის კვალს დღეს ადგილად ვერ ვიპოვით. ყოფილიყო რაიმე დარჩენილიმთხებედავად დღი დროის მანძილის თესლის (ჩრდილო საბერძნეთი)პრეისტორიიდან მოციქული ანდრეას მარტიკობამდე და ზაგრატონთა ქრისტიანური სახელმწიფოს დამტიკებამდე, -რუსეთის იმპერიის ძლიერი და ცბიერი საიღღმლო დაწესებულება ე.წ. „რუსული შავი ზღვის სანაპიროს პოლიტიკა“. ყველაფერს უთუთ მოსპობდა.

რაც ეხება საწმისს, მას აქვს ერთი დამახასიათებელი მსგავსება ჩვარ-ღრუბელთან: ის წუწნის, ითიისებს და ადგილად იგსება წყლით ანუ სხვა სითხით; მისი წვიმის მიღღები თვისება გამოიყენა კიდევ დიდების ავტორმა.

და აი, საწმისი ჩადებული რიონში, წყალს გაუშვებდა, მაგრამ ლეგენდალური ოქროს ნაწილაკები კი რომელიც მღინარეს მოჰქონდა კავკასიონის ქედიდან, თმაში გაჩერდებოდა და როცა მთელი ბაღიანი შეგნებული იქნებოდა ოქროთი, -მაშინ კოლხებს ჰქონდათ ოქროს საწმისი! ეს ამბავი, ოღონდ საწმისის მაგიერ იხმარებოდა ცხვირის ქურჭი, ვაგონილი მქონდა ჩემ ბავშვობა-სიყმაწვილეში ჩემთვის საყვარელ და მახლობელ ხალხისაგან. ამ ხალხმაბერძნულიც იცოდა, რომლის სწავლა საგაღღმებულ იყო იმ დროის რუსეთის იმპერიის საშუალო სასწავლებელში, და ბერძნული და არა ბერძნული მითოლოგია იცოდნენ. როცა წამოვიზარდე და გავივე ნამდვილი ვითარება ოქროს ვერძის, გამიკვირდა და მიკვირს კიდევ რისთვის სხვანაირად მიამბებს. ეს ალბად იყო ერთგვარი რაციონალიზაცია და ნაციონალიზაცია ოქროს ვერძის.რადგანაც არ მგონია არგონავტიკის ამბავმა დასტოვა რაიმე კვალი ადგილობრივ ნაამბობში, მსგავსად ამირანის და სხვა ლეგენდა-არაკის ბერძნულ-ბიზანტიური და კავკასიური საერთო ფოლკლორის.

Djobadze's Library



არგონავთების მითი, მედეა და ოქროს ვერძისაცხებები ეკუთვნის ბერძნულ მითოლოგიას, და მითი აზ-
ბაკი კი მოხდა ბეგრად უფრო ადრე, პრეისტორიულ ალბადერინჯაოს ხანაში. იასონი არ იყო ბერძენი და არც
მედეა ქართველი. ინდოევროპული ტომები, რომელთა ეკუთვნის ბერძენი, ჯერ არ იყვნენ მოსულნი ჩვენს
შუა ზღვის ნაპირას და ანატოლიაში და მათი დაწოლით ქართველი ტომები ჯერ არ იყვნენ მითაცხებული
ამიერ კავკასიაში. იასონი იყო წვერი პრესტიჟიული ტომის, რომელიც ცხოვრობდა თესალიაში და რომლის
დღე-ქაღაძე იყო იოლკოში. იასონს ყავდა ბიძაშვილები, ვაჟ-ქალი, რომელთა დედა იყო ნეველ ღრუბლების
ღვთაება; როცა იასონის ბიძამ დაანება მას თავი და შეერთო სხვა ქალი, დედისანაცულის თავიდან საშვე-
ლად, ნეველემ მოიყვანა ოქრო-ბლანდინი და მფრინავი ყოჩი, შესეა მასზე შვილები, და გადააღრინა ისინი
შავი ზღვის უტიღურეს ნაპირსა. გზაში ქალი, ჰველ, გადაგვრდა ყოჩიდან წყალში; ეს იყო სრუტე, რომ-
ელსა მითეა სახელად პელესპონტი (დარღანელი); ვაჟმა ბოლოს და ბოლოს მიახწია კოლხეთს; მაღლიერმა გა-
დარჩენისათვის მან გაატყავა ოქრობლანდინი ყოჩი; და შესწირა მისი ხორცი ოლიმპის ბატონს; და მაშინ-
ვე ცაში გამოჩნდა ახალი ვარსკვლავთა წყობილება, რომელსაც დაერქვა „არიკი“ (ყოჩი ანუ ვერძი); მასში
მზის ეტლი შედის ოცდაერთ მარტს, და შემდეგვე მისგან ვარსკვლავთა მრიცხველებმა დაიწყეს ზოდიაკოს
ჩარხის მოქცევა. ვაჟწილმა ყოჩის ოქროს ქურქი ჩამოკოდა გამოქვაბულში; კოლხეთის მეფემ დააყენა ოქრო-
ს ვერძის სადარაჯოთ საშინელი მუდამ ღვიძელი გველუშაბიდა მისცათავისი ქალი, მედეას ნახევარი და,
ყმაწვილს.


თესალიაში კი იასონის სხვა ბიძამ უკანონო დაიჭირა იალკოსის სამეფო ტახტი, რომელიც ეკუთნო-
და იასონის ბაპსა და ვაგზავნა იასონი კოლხეთში ოქროს ვერძის უკან დასაბრუნებლად. სხვა და სხვა დაბრ-
კოლების და დათვრების შემდეგ იასონის ნავი არგოსი და არგონავთები ჩავიდნენ კოლხეთში. მედეას შეუ-
ყვარდა იასონი. ოქროს ვერძის მისაღებად სხვა და სხვა უნაყოფო ცდის შემდეგ, მედეამ, რომელიც იყო ჯა
და ქატი, დააძინა მუდამ გაღვიძებული ვეშაბი, გაიტანა ოქროს ვერძი და წაყვა იასონს მის სამშობლოში.
გრძელი რთული გზით, მდინარეებზე გალათინ არგოსი მანინ მივიდა თესალიაში და იასონმა წესიერად შვირ
თოქედა.

იასონის და მედეას თავგადასავალი პირველად პოეა და ლექსად გადასთქვა“ მესუთე საუკუნეში
ქ. წ. პოეტმა პინდაროსმა, მერე სხვებმა სწერეს ამაზე. ორიოდ საუკუნის შემდეგ აპოლონ როდელმა პო-
მეოროსი წაბაძიეთ დასწერა თავის „არგონოტიკა“. იასონის და მედეას ისეყარულს აწებებმა შეიქრა ბერ-
ძნულ თეატრში და რომელიმე მწერლობაში. ბერძნულმა დრამატურგმა მენ. საუკ. ქ. წ. ... ევრიპიდესმა თავის
ტრაგედიაში თემად აირჩია ამბავი მომხდარი კორონთში. სადაც იასონი თავს ანებებს მედეას სხვა ქალის
გულისათვის და მედეა იჩენს თავის ჯადოსნობას მეტოქეების მოსპობაში და შურის საძიებლათ საკუთარი
ხელით კლავს თავის ორ ვაჟს შექმნილთ იასონისაგან. ევრიპიდეს გავლენით ფრანგმა დრამატურგმა პიერ კო-
რნელიმ დასწერა თავისი მედეა 1635 წ.

მეთოხნებტე საუკუნის დასაწყისში დანტესათვის ქალის მოტყუება ანუ მიტოვება იყო ცოდვა, რო-
მლისათვის სასჯელი იყო მიკუთვნელი ვაჯიჯეთში. დანტეს „ქვესენლის“ მერვე წრეში ჩვენ ვხედავთ იასონს
რომელსაც ამათრახებენ ეშმაკები. თავის გზაში კოლხეთისაკენ, მან მოატყუა კუნძულ ლესბოსის დედოფალი
და ორსული მიატოვა იგი. ამისთვის დასჯილია იასონი გვეუბნება ვირგილი, და უმატებს, ამ სასჯელით „მე-
დეასათვის შური ეძიებო“.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს მუზიკოსმა კერუბინმა დასწერა თავისი ოპერა მედეა. მეცხრა-
მეტე საუკ. მხატვარმა ევგ. დელაკრუამ ბეგრადი ხატა მედეა ევრიპიდეს-კორნელის გავლენის ქვეშ. :მედეა
ზის სატყუარი ხელში თავის ორი დავის მოსაკვად, მტრიალი ბავშვები ეხლაუქებიან დედის კალთას. ჩვენ-
ნმა თანამედროვემ ფრანგმა დრამატურგმა ჟან ანუილმა პირველად დადგა თავისი მედეა პარიზის თეატრ-
ში 1953 წ.! კერუბინის ოპერა, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, დღესაც იზიდავს მსმენელებს... საბერ-
ძნეთის ლიტერატურული და საერთოდ კულტურული მემკვიდრეობა არის ღრმად შეთვისებული ჩვენი დღევან-
დელი ებრაულ-ქრისტიანულ-მუსლიმანულ-ცივილიზაციის ერი. ქართველი ერი არის განუყრელი წილი ამ
ცივილიზაციაში თავისი ისტორიით, სახელმწიფო ცხოვრებით და შემოქმედებით, ამნაირად ისტორიკოსები
და სპეციალისტები იცნობენ საქართველოს, რომელიც დღემდე არის ცოცხალი ხელსახლები მოვლენა და არა
რომელიმე მითი. გაკვრით მოუყვანილიმედეას და არგონავთების ორბათისხუთას წლიან ვითარებაში, ქართ-
ველი, დღევანდელი ეთნოლოგიური გაგებით არსად ჩანს, და ამიტომ გამსახურდია ძალიან ცდება როცა ამბ-


დასახელები
ქვემოთ



ობს : ცივილიზებული მსოფლიოს მკვიდრნი კოლხეთად უფრო იცნობენ საქართველოს, ვინაიდან ყველას ახსენდება არგონავტების, მითი, მედეა, ოქროს საწმისიო“. საუბედუროდ გამსახურდია მიდის უფრო შერის მისი აზრით არგონავთებმა გადაიტანეს კოლხურ-ქართული სიბრძნე საბერძნეთში,“ და ამ სიბრძნის ნამ ბერძნულ მიწაზე ამოიკანთა დიდი ბერძნული კულტურაო“.

მითოლოგიის მოშორება არც ისე ადვილი საქმე ყოფილა; გამოცხადების სურათი საჯალბოების მიხედვით, დაყენებითი ლაპარაკი ოქროზე და წვიმაზედა თვით სახელწოდება ისინის ნაგის, უნებლიედ გვაგონებს ერთ ამბავს , რომელიც მოხდა ქალაქ არკონში, პელოპონეზში. არგონის მეფეს ჰყავდა უმშვენიერესი სახელად დანაე; უკვდევ იუბიტერს უყვარდა დასდევნა მომავლად მომზობლად ქალებისდა მან რასაკვირველია შეამჩნია დანაე. დანაეს შამის საერთოდ ეშინოდა ქალს ეკოსის შვილი, რადგანაც წინასწარტყვეულის ძალით ის უნდა მოკვდეს შვილიშვილის ხელისაგან. და მას ჰქონდა მიღებული სასტიკი ზომები ქალის დასაცავად. იუბიტერმა კი გადაიტყა ოქროს წვიმიად და „გარდამოხდა“ დანაეს ზედა. დანაეს ყუილა მითოლოგიის სახელგანთქმული გმირი პერკეოსი.დნაეს ამბავმა მოიზიდა არა ერთი განთქმული მხატვარი. ტრიანმა სამჯერ დახატა დანაე, ერთი მისი ტლო არის ლენინგრადის ჰერმიტაჟში.იქ ტიტკვლა დანაე მოწყობილა ლოგინზე ოქროს წვიმის მისაღებად. ჰერმიტაჟშიც იმყოფება განთქმული თავისი ფერადობით, რემბრანტის ტლო;ქ დანაე ენერგიულად განწყობილია და ჩანს გამოცდილ ქალად საყვარლის მიღების საქმეში. ზოგს ჰგონია ნახატი წარმოადგენს ბიბლიურ ამბავს.

საქართველოს ვაცნობა ბერძნული მითოლოგიით ადვილი და ნაყოფიერი საშვალეა არ იქნა და არც ერთი „ცივილიზებული მსოფლიოს მკვიდრი“ ამ საშვალეას არ მიმართავს , მიუხედავად გამსახურდიის წარმოდგენის.საწინააღმდეგო მიმართულებით, საქართველოს ვაცნობით ზოგმა მუგზაურმა და მკვლევარმა მიაგინო კოლხეთიც და ახვა ბერძნული კვალი.ისტორიულ სინამდვილეშივერობებს მუდამ ჰქონდა უფრო პრაქტიკული დიბლომატიურ-სამხედრო ანუ სავაჭრო მიზანი. საქართველო იყო მნიშვნელოვანი ანუ საყურადღებო ფაქტორი როცა ცვლილება ვითარდებოდა მცირე-აზიურ მიდამოებში, სპარსეთ-მისრეთის მიმართულებით ანუ ბიზანტიის გარშემო.ამ მხრივ საყურადღებოა ზ.ავალიშვილის წიგნი „ჯვაროსან დროიდან“.ოქროს ხვედრის მიდგომით საყურადღებო ამბავი მოხდა დაახლოებით ექვსი წლით მას შემდეგ რაც დაიწერა ჩვენი ვაკოპლელი, თუ ,ახაკივარდია, გამსახურდიას დათარგმნა სწორია.მაშინ ოქროს ვერძმა მიიღო ბურჯუნ დიულ ოქრომკვდელი ოსტატის ხელიდან დამოსახულება რქიანი ოქროს ყოჩის, ჩამოკიდებული ოქროს ჯაჭვზე როელსაც ატარებდნენ ბექების ირგვლივ და ოქროს ვერძი ხდებოდა ვულზე. ეს იყო გათქმული ოქროს ვერძის ორდენის წევრობის ნიშანი. ორდენი იყო დაკავშირებული საქართველოს სინამდვილესთან, რადგანაც ჩვენი ქვეყანა ითვებოდა მნიშვნელოვან ძალად და შესაძლებელ მოკავშირედ ბრძოლაში ოსმალების გაძლიერების წინააღმდეგ. კონსტანტინოპოლი ჯერ აღებული არ იყო და ევროპელებს ჰქონდათ სავაჭრო ინტერესები შვიი ზღვის ნაპირებს და აგრეთვე ხანგრძლივი ტრადიციანხმელთაშუა ზღვის დაცვაში მუსლიმანურ დაწროს წინააღმდეგ.ორდენი იყო დაარსებული 1430 წელს. ქალაქ ბრიუქში(დღეს ბელგია) ბურჯუნდის მთავრის ფილიპე კეთილის მიერ. ბრიუქი გახდა უკანასკნელ ხანას სადგომ ადვილად ბურჯუნდის ძლიერ და მდიდარ მთავრების, თუმცა დედაქალაქად ისევ ითვლებოდა დიონი(დღეს საფრანგეთი) . ორდენის დაარსების საბაზად იყო ფილიპე კეთილის და პორტუგალიის მეფისქალის იზაბელას ჯვარისწერა. ორდენის პირველი მიწვეულების შეხვედრა მოხდა ლიში (დღეს საფრანგეთი) . და უკვე 1432 წლიდან ორდენის გამეგობა გადატანილი იყო დიონში . ამ დროიდან ფილიპე იწყებს მზადებას ჯვაროსნობისათვისოსმალების წინააღმდეგ. ოქროს ვერძის ორდენი იყო მიძღვნილი ღვთისმშობელს და ანდრია მოციქულს და მიწვეულების წესის დროს მდიდარ სუფიას უდიოდა სუნი შემწვარ ხზობის. კონსტანტინოპოლის ალების შემდეგ ოსმალების მიერ, ფილიპე კეთილმა მიწვევა, ჩვიდმეტ თებერვალს 1454 წელს, დიდი ფუფუნების წევულება, რომელსაც მან დაარქვა „ხზობის ბანკეტი“ . ამ ნადიმზე მთავარმა „აილო ჯვარი“ ე.ი. პირადად შეუდგა ჯვაროსნობის თავში. ჯვაროსნობას ენერგიულად ქადაგობდა პოეტი, მწიგნობარი-მოაზროვე, ენეას სილვეს, რომელიც ამორჩელი იყო რომის პაპად და მიიღო სახელი პეტუსმორეს. მისმა ლეგატმა ლუდოვიკო ბოლინელმა, დაპყო ხანი საქართველოში;მან დააწერინა საქართველოს მეფე-მთავრებს ეპისტოლეები ბურჯუნდის მთავარს. საქართველოს ელჩები ბოლოს ჩავიდნენ დიონში ფილიპე კეთილის სანახავად. ამ ვითარებაში პრესტიჯიულმა კოლხეთმა, ბექვითა-ჰყონდის ქრისტიანური ხაზით, და „როინის ფრინველთ“, ხზობის სამშობლოდ ითვლებოდა ძველი „ფაზისი“, იქცა სიმბოლოდ და „საიდუმლოდ“ არა მისის, არამედ ნამდვილი პოლიტიურ-სამხედრო



საქმიანობის, „ბრიუეში, სადაც დაარსდა ოქროს ვერძის ორდენი, გროენინგე მუზეუმში ინახება ფილიპე ვე-
 თილის სურათი სადაც ოქროს ყოჩი მის გულზე არის დაწვრილებით დახატული. ოქროს ვერძი დიდხანს არ
 დარჩა ბურგუნდიის ხელში. ფილიპე კეთილის შვილის შვილი მარია ერთადერთი დარჩენილი მემკვიდრეა ვერძის
 გუნდიის სამთავროს. მისი მამის ბრძოლაში სიკვდილის შემდეგ, წაყვა პაბსბურგის სახლის მთავარს მასკ-
 მილიანსდა მოუტანა მოუტანა მისი შთაბრძნის ოქროს ვერძის ორდენი. ორდენი გაყვა ისპანიის შტოს პაბსბურგის სახ-
 ლისამაგარამ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ვენას შავღომაში იმპერატორმა თავის ვერძში გაქმნა ოცვა
 ორთავიან არწივს ოქროს ჯაჭვი ოქროს ვერძით. ამ სახით ვერძი და ორდენი ძალაში იყვნენ ავსტრიაში 1918
 წლამდე.

ძნელია კაცმა არაფერი სთქვას ისეგ ბელგიაში მომხდარ „ოქროს ვერძის“ ამბავზე. ათას ცხრადას
 ოციან წლების დასაწყისში, ბელგიაში ჩასულ მოქალაქე სომხებს ჰქონდათ ჯერ ქართული პასპორტები და
 ისინი სცნობდნენ თავის ელჩად სრულ უფლებიან საქართველოს წარმომადგენელსა პარიზში, აკაკი ჩხენკელს.
 ამ სომხებში იყვნენ თუთუნის მრეწველები და მათ მოჰკიდეს ხელი თავის სპეცობას და აკაკი ჩხენკელს მო-
 სდიოდა ძღვნად პაპიროსი. ერთხელ, მახსოვს, ჩვენმა ელჩმა მომადგინა ეს პაპიროსი და ბენდიერი დიმი-
 ლით მიამო ამ სომხების ამბავი. ბატონმა აკაკიმაც მოჰკიდა პაპიროსი ცეცხლი, მაგრამ ის მწვევარი არ
 იყო, და მამონე დიწყო ხევა, გაწილდა და ხელის ქნევით ჩააჭრო იგი. ამ სომხების თაოსნობით ბელგი
 აში დაარსდა კავკასიური ფრანკ-მასონური ლოჯა „ოქროს ვერძი“. მუსლიმანები და ლოჯაში დიდხანს არ და-
 რჩენ. პირველმა დაანება თავი, ვფიქრობ, ცნობილმა ჩრდ. კავკასიის და საერთოდ კავკასიის მოღვაწემ პა-
 იდარ ზამატბადა მოეწყო პარიზის ერთ ლოჯაში. ამ დროს მიხდა აჯანყება საქართველოში და უკვე სხვა მით-
 ოლოგიის ამბავმა შესცვალა ოქროს ვერძი. მოქმედმა და თავდადებულმა საქართველოს ვაზირმა ნოე რამ-
 იშვილმა, თუმცა ის უკანასკნელ ხანას იყო შინაურ საქმეთა მინისტრად, გამოიჩინა დიპლომატიური უნარი.
 მან საქართველოდან გამოიხიზნულ აჯანყების მეთაურთაგანის, ღრმა ვანკდის მამული შვილის და საქართვე-
 ლოში პოეტად ცნობილი; შალვა ამირჯიანის დახმარებით და დიდი ჩრდ. კავკასიის იმამის „შამილის“ შვილის-
 შვილის შამილის ხელისშეწყობით, დაარსა პოლონეთში პრომეთეოსის ორგანიზაცია. ახლა უკვე სომხებმა
 მონაწილეობა არ მიიღეს. პოლონეთი უფრო ანარიზს უწყევდა რუსეთის მრავალრიცხოვან მუსლიმანურ მოს-
 ახლობას და თავის ტრადიციონერ მეგობრობას თურქებთან. პოლონეთში არ იყო მნიშვნელოვანი ქალაქი,
 სადაც არ ყოფიყოს პრომეთეოსის კლუბი. ყოველთვის ყურნალი „პრომეთეოსი“ გამოდიოდა ფრანგულ ენ-
 აზე უკანასკნელ ომის დაწყებამდე. ყურნალის გამოცემა იყო უმთავრესად აზერბეიჯანელების და ქართვე-
 ლების ხელში. ყურნალის თითქმის მუდმივ დირექტორად და სულის ჩამდგმულად იყო დიდად ენერგული და
 ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გიორგი გვაზავა, ყურნალისტი, მწერალი, პოეტი და მთარგმნელი. ნიუ იორ-
 კის როკველერის ცენტრს დაფინანსავს დიდი ოქროს პრომეთეოსი ჩირაღდანით ხელში; ეს უსაუფოდ არის ფრ-
 ანკ-მასონური ნიშანი, მაგრამ შე პირადად მიგონებს გიორგი გვაზავას, მის სახლობას და ჩემ ახალგაზრდ-
 ობას.

გიორგი ჯაყელი

რედ. შენიშვნა. საბჭოთა ცენზურის სიბრძნის ნიმუშად გამოდგება ის ფაქტი, რომ მან ზ. გამსახურდიას
 აუკრძალა მისი „ოქროს საწმისის“ გამოცემა. ის რომ თავისუფლად იკითხებოდეს საქართველოში, ალბათ არა
 ერთი პოლემისტი ჩაერგებოდა მასთან პაექრობაში. და ამრიგად, აზრთა ვაცვლა-გამოცვლით შესაძლებელი
 იქნებოდა სიმართლის მინიშნება. დღეს, ჩვენ სამშობლოში, ზ. გამსახურდიასზე და მის „ოქროს საწმისზედაც“
 ლაპარაკი აკრძალულია. ამიტომ ეს ხარვეზი, ნაწილობრივ მიინც, ჩვენ უნდა შევავსოთ. დასამალი არ არის:
 მთელი ჩვენი სიმპატიები გამსახურდიას! მხარეზეა. მას ხომ დღეს პასუხის ვაცემის საშუალებაც კი მოკლ-
 ებული აქვს. მიანც ვაქვეყნებთ ზნ. გ. ჯაყელის ამ სტატიას, იმ იმედით, რომ ეს კრიტიკა კიდევ სხვების კრი-
 ტიკის გამოიწვევს, აზროვნებას გააცხივებებს. კრებულ „ოქროს საწმისისადმი“ ინტერესს კიდევ უფრო გა-
 აძლიერებს. აღსანიშნავია: ზ. გამსახურდიას „ოქროს საწმისის“ განმარტებისას მითითურ წარსულის პოეტურ
 ხილვას იმარჯვებს და მით ქმნის ლაზარ პარალელს თანამედროვეობასთან. გიორგი ჯაყელი კი წმინდა მეცნ-
 იერულ ანალიზის ლოდით, ამ პოეტურ აღმადგენას გამოხს. მიმდევრები, ერთსაც ბევრი გამოუჩნდებია და
 მერესაც. რედაქციას შეგნებულად არ სურს არჩევანი გააკეთოს.



ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდა აკაკი შანიძეს. ეს დიდი მამულიშვილი, ჯერ კიდევ ქაბუტი შექმნა ენათმეცნიერების დარგში მოღვაწეობას. მთავარი საგანი მისი კვლევები იყო, ქართული ენა იყო. მრავალი ნაშრომი მიუძღვნა მან ამ საკითხს. მათ შორის ფართო წრისათვის უფრო ცნობილია, მისი ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოები. რომელზედაც თაობები აღიზარდნენ და კვლავაც აღიზარდებიან. დიდი დედაწლი მიუძღვის მას საერთოდ აკადემიურ ენათა, ლიტერატურის და ისტორიის შესწავლაში. მანვე აღადგინა და გამოსცა ვახტანგისეული მეფისტიქაოსანი. დიდად ააჩუქა მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ივანე ჯავახიშვილის მარჯვენა ხელი იყო ქართულ უნივერსიტეტის დაფუძნებაში. ათეული წლებია რაც სათავეში უდგას ქართული ენის კათედრას. მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შედეგება, ჩვენ ძალღონეს აღებამტება; ამ მცირე წერლით: მხოლოდ ის აღვნიშნით, რომ ყოველ ქართველს სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, არ შეიძლება მისდამი მადლობით არ აღეცხოს გული და საამაყოდ არა ჰქონდეს მისი სახელი. მრავალჯერ ჩვენს ძვირფას მეცნიერს, ჩვენი ენისა და კულტურის დიდ მოურავს.

ქართველი ოქრომკვლედი პარიზში გიორგი ნოზაძე

ის 1974 წელს გადმოსახლდა პარიზში. ამ ცოტა ხნის განმავლობაში მოხდინომა, თავიზიანდა და სერიოზულმა ნიჭიერმა დაეკაცა უკვე საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მას ღრო არ დაუკარგია. პარიზში ერთერთ ხელოვნებათა და „ბიბლიოთეკით“ განთქმულ უბანში, პიკაზზე, გახსნა პატარა ატელიე და ხელი მიჰყო თავის საყვარელ ოქრომკვლელობას. გუჯი ამაშუტელის მარჯვენის მადლი უკვე აჩნია ჩვენს ლევილის ასაფლავს. აქ მის მიერ შესრულებული ქ. ჩოლოყაშვილის, ვ. ნოზაძის, ლ. ზურაბიშვილის და სხვა ძეგლების გაფორმებანი ხასიათდებიან იშვიათი სისიდავით, დახვეწილი გემოვნებით და ღრმა შინაარსით.

გუჯი ამაშუტელის ნაწარმოებთა ნიმუშები სულ ხშირად და ხშირად გვხვდება პარიზის ხელოვნების თუ ხელოვნობის გამოვენებზე. ისინი საუკეთესო შეფასებას იმსახურებენ, როგორც ოქრომკვლელობის და სკულპტურის წრეებში, ასევე პრესის ფურცლებზე. ამაშუტელის ხელოვნებას ვრცელი წერილები უძღვნეს დრანგულმა გახეთქებამ: „ფიგარო“, „მონდამ“ და „მეტალმა“ – ასევე იტალიურმა „ილ მესაჯირომ“ და „ილ ტამპო რომიმ“, ყველანი ერთხმად აღიარებენ, რომ გუჯი ამაშუტელის შემოქმედება ხასიათდება ხელოვნობის მაღალი ტექნიკით და ხელოვანის მდიდარი ფანტაზიით. უურნალ მეტალის თქმით: „გუჯი ამაშუტელის სახით ჩვენ გვაქვს ხელოვანი, რომელიც ხელობის იშვიათ ცოდნასთან ერთად, სვანში აცოცხლებს ფოლკლორს, რომელიც ღრმად დაღდასმულია ხალხური მოტივებით და დიდი დახვეწილობით.“

ამაშუტელის ხელოვნების მნიშვნელოვანი პარიზულ აღიარებას წარმოადგენს, არტისტის მიერ შესრულებული, საფრანგეთის აკადემიის ახალი აკადემიკოსის, მწერალ ფელისიან მარსოს, აკადემიკოსობის მხარველი. ათ ნომერის ათას სტრიას სამოცდაათექვსმეტ წელს, გალიმარის გამოცემლობაში აკადემიკოსის მეგობრებმა საზეიმო ვითარებაში მიართვეს მას ეს მხარველი. მაშინ მწერალმა კოლ მორიაკმა სიტყვით მიმართა ფელისიან მარსოს, სადაც სხვათაშორის განაცხადა: „ეს ხომილი, რომელიც ოქრომკვლე-სკულპტორ გუჯი ამაშუტელის ნახელება, ხატია იმისი ვისაც ცოცხლებს, მასში ოქროთა და ძვირფასი ქვებითაა წარმოქმნილი ფელისიან მარსოს მთელი შემოქმედება“.

გ. ამაშუტელი დაიბადა ბათუმში 1941 წელს. (მისი დედა ბიოლოგიის პროფესორია, მამა ექიმი იყო) დაამთავრა თბილისის ხელოვნების აკადემია სკულპტურის განხრით. 1963 წელს გადასახლდა მოსკოვში, სადაც გახსნა ატელიე. მან იქ შექმნა დეკორატიულ მელნების და პანოების ორიგინალური მოდელები, რითაც სახელი გაითქვა. გახდა ხელოვანთა კავშირის წევრი და ლეზბოლბა მრავალ სახელმწიფო დაკვეთებს. ამაშუტელმა არ ინდობა მისი მოდელების სერიულად გამოშვება, არც ისეთი შეკვეთების შესრულება, რომლებიც პრიპაგანდას ემსახურებოდნენ. 1969 წელს, მან ცოლად შეირთო პარიზულ ცნობილ თეატრალურ მოღვაწის ასული ეკატერინე ბარსაკი, რომელიც დრანგულ საელჩოში მსახურობდა მოსკოვში. მას შემდეგ ექვის თვლით დაუწყეს მას ცქერა, შეკვეთებიც შეწყდა. გ. ამაშუტელმა გადაწყვიტა პარიზში გადმოსახლება, რის ნებართვაც მრავალ თხოვნების და ხუთი წლის ლოდინის შემდეგ მიიღო სამოცდაათხმეტ წელს.

ამაშუტელი შემოქმედების სრულ ასაკშია. დაწინაურებული ვართ თავისუფალ სამყაროსთან შე-



ხვედრა მასზე დადებით გავლენას მოახდენს და მისი შემოქმედება სულ უფრო სრულყოფილი გახდება. გ. ბაქიძის სიტყვებით გესურს ვუთხრათ მას: მარჯი შენს მარჯვენას ქართველი ხელოვანო.

ჟურნალ „მერანის“ მეორე ნომერი.

ქართველ ახალგაზრდათა ჯგუფი ჟურნალ „მერანის ირგვლივ“ შემოკრებილი ამართლებს იმ იმედებს, რომელთაც ჩვენ მათზე ვამყარებდით. გამოვიდა ამ ჟურნალის მეორე ნომერი, რომელიც პიველსაზე კიდევ უფრო დამაკმაყოფილებელია.

ჟურნალში, ვინა საჩვენებელია მერ ხელმოწერილი მოწინავეს შემდეგ მოთავსებულია: წერილი სიკვდილისმიჯნაზე ჟენიას შესახებ ოთარ ზურაბიშვილისა, ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციათა დეკლარაცია, წერილი ქართული დისიდენტების რაობა სალომე დარბაისელისა, წერილი ჰელსინკის შეთანხმებაზე ოთარ ზურაბიშვილისა, ზვიად გამსახურდიას წერილი-კომუნიკე ჟურნალ „მერანისადმი“, წერილი ზ. გამსახურდიას დენის შესახებ გიორგი წერეთლისა, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა— ნინო კალაურელისა და სხვა ცნობები საქართველოზე. გარდა ამისა ამ ჟურნალის ჯგუფმა შეადგინა ჰელსინკის შეთანხმებისპატივისცემის ქართული კომიტეტი, რომელიც სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობს. ყოველივე ეს იმედისმომცემია და გამამხნევებელი. კიდევ ერთხელ წარმატებას და მხნეობას ვუსურვებთ მათ.

ჟ უ რ ნ ა ლ ი „ ჩ ვ ე ნ ბ უ რ ი “ .

შვეციიდან მივიღეთ საინტერესო საჩუქარი. ეს გახლავთ თურქულ ენაზე გამოცემული, პერიოდულ კრებულის პირველი ნომერი. მას ეწოდება „ჩვენებური“ და სცემს ქართული კულტურის საზოგადოება, შვეციაში მცხოვრებ თურქეთულ ქართველების. ნაირ-ნაირი მასალები ამ კრებულში მოთავსებულია, მთლიანად ეხებიან საქართველოს წარსულს და აწმყოს: ისტორიას, გეოგრაფიას, პოეზიას, ენას, სპორტს და სხვა. ეს კრებული სამსახურს გაუწევს თურქეთულ ქართველების გათვითცნობიერებას ქართულ ცივილიზაციის საკითხებში. საქართველოსადმი მიძღვნილ თურქულენოვან კრებულის არსებობას დიხაბაც დიდი მნიშვნელობა აქვს მაგრამ ჩვენი მძებნი თურქეთის ქართველებს, ამით არ უნდა დაკმაყოფილდნენ. უნდა შეისწავლონ ქართული წერა-ბრალები და ქართულ წყაროებიდან უნდა გაიგონ საქართველოს წარსული და აწმყო, მისი გაკვირება და დაღიანება. ეს მომხილავს საკითხებს, ხოლო ამჟამად წარმატებას და ხანგრძლივობას ვუსურვებთ „ჩვენებურის“ რედაქციას და მის თანამშრომლებს.


ი ც ხ ა კ დ ა ვ ი დ ი .

ისრაელიდან მივიღეთ დოქტორ იცხაკ დავიდის წიგნი. ტომი პირველი. ეს სქელტანიანი წიგნი გამოცემულია ისრაელში გაბონოვის სახელობის სამეცნიერო კავკასიოლოგიურ კომიტეტის და შეიცავს იცხაკ დავით-აშვილის პოეტურ, ფილოსოფიურ, და ისტორიულ ნაწარმოებებს. წიგნში, ადვილად საკითხავ ჩანაწერებსა და მოთხრობების გვერდით ვხვდებით პოეტურ-ფილოსოფიურ-ისტორიული ხასიათის თხზულებები მალალი დონისა. დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის წიგნის იმ ნაწილს, რომელსაც ავტორი უწოდებს „პალესტინიანისა“ და რომელშიც განხილულია საქართველოს და პალესტინის ურთიერთობა უხსოვარ დროიდან დღემდე.

ჯვარის მონასტრის და მისი შემოგარენის არქეოლოგიური შესწავლა იქ მინიშნებულ ქართულ სამაროვანის „საქვლებად“ გაწეული მოსამზადებელი მუშაობა, ძვირფასი სამსახურთა ქართული ცივილიზაციისათვის და იმედოვნებს ვიკონიით, რომ საქართველო დახმარებას აღმოუჩენს ბატონ იცხაკ დავითს და მის ირგვლივ შემოკრებილ მკვლევართა ჯგუფს. ეს წიგნი უთქველად, ღირებულების მქონი ნაწარმოებიდაა ჩვენ მკითხველებს ვურჩევთ მის წაკითხვას.

ისრაელშივე ამ წლის მისში გამოვიდა დოქ. გაბონოვის სახელობის კომიტეტის პერიოდული ორგანოს პირველი ნომერი სახელწოდებით: „კავკასიონი“. ჟურნალი სამედიცინა-ქართულ-ინგლისურ-ივრითული. მასში დრ. დავითის გარდა მონაწილეობს ბ. გერმ. წიწუაშვილი და ეს გამოცემა მეცნიერულ-ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხასიათისაა. როგორც წიგნის ასევე ჟურნალის მისამართია:

DR. ITZAC DAVID. . . . SHILOVO HAMELCH STREET 33/7. . . . TEL AVIV



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

როგორც ამიწინა ნომერში ვიუწყებოდით, ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას დაბატმრების ცნობის მიღებისთანავე, პარიზში დაარსდა ორგანიზაცია საფრანგეთის მოქალაქე ქართველ ახალგაზრდების მხედრობისათვის. „პარიზული ქართული კომიტეტი კელსინკის შეთანხმების ვატარებისათვის“. მისი მიზანია: „გამოააშკარაოს ყოველ საშუალებით (პრესა, წერილები, კონფერენციები) ფაქტები აღდამიანთა და იღვათა დათორგუნვის ან შეზღუდვისა საქართველოში და საფრანგეთის საზოგადოებას ამცნოს ბრძოლის შესახებ, რომელსაც ჩვენი თანამემამულეები აწარმოებენ საქართველოში“.

კომიტეტის თავმჯდომარეა ოთარ ზურაბიშვილი მისამართი:
**Comité géorgien pour l'application des accords
d'Hel sinki, 75016 Paris . T. 704 87 57**

ლ. ბრეჟნევის პარიზში ვიზიტთან და ბელგრადის თათბირთან დაკავშირებით, პარიზულმა ქართ. კომიტეტმა აღა წერილი გაუგზავნა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს და საფრანგეთის ელჩს მოსკოვში.

კომიტეტმა აიყვანა ორი ფრანგი გეჟილი ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას დამცველად.

გამოთხოვება

გემშვიდობები მიწავ ქართული აკვანო სიყრმის გამზრდელი ჩემო, მარად ვილოცებ ჩემს სულისდგამში იყავ ღღერძელი შენ საქართველო! გემშვიდობებით მთებო და ზერებო ჩემი განცდების უტყვნო მოწმენო ჩემი ტკივილის თუ სიხარულის წიგნი გრძნობებით გამზიარენო. მინდა მივიხანო მე ირგვლივ ყოველს უტყვსა თუ მეტყველს სულდგმულ-უსულოს გტოვებთ ტკივილით, გულისტკივილით ჩემი ცხოვრების თანამგზავრებო. გვესმა ყვილი მშობელი მიწის ეს შენ შვილთათვის უტხო როდია? მაშ ნუ დამძრახავ მეც ღღობილი თუ საშმობლოსკენ გულმა წამძლია. შენ დამძრახავდი უთუოდ მაშინ სულს არ აღძვროდა გრძნობა შვილიური ისე ვით ქეთოს ვაშლოვანწლის დაეიწყებოდა ზეცა ქართული მითომ გზორდები გულისტკივილით თვალებს მიბინდავს ცრემლი მაღულთ ვებრძვი ამ ჩემ გულს, გრძნობებში შიგ აღძრულთ არ ვავამქვავნო ეს სინანული. მაგრამ ძალშიძს კი არ ვუთხრა ვინმეს ეს განშორება რარივ ძნელია? მისთვის ავიღე ხელში კალამი ვაწვიმე ქალაღს გულის დარღია.

იქნება ამით შემიმსუბუქდეს იარა სულის, მწველი ფიქრები... გცილდები ისე ვით ნაიბს ქეთო! მემახსოვრები და შენ ვიქნები. მაშ მომე ხელი შენი გულწრფელი მიწოდე შვილი გინდ შვილობილი ვიყო ერთგული, სულის ზიარი ვით ისრაელის, შენიც ტრფილი. და მომავალში იქნება ბედმა კვლავ შეგვახვედროს ღღდა-შვილურად არ ვიგრძნო ზიზნი შენთან შეყრისას ძმის გამვიდგელმა ვითარც იუღამ. გეწვიო ისე ვით ნაიბს ქეთო ღღდაშვილური სიამტკილობით ვემთხვიო კალთას მამადავითის აღსავსე გრძნობით მაღლიერების ჩამოგიტანო საღამი შორით გრძნობის აღმძვრეტიტბილი საღამო თანნატარები ვითხრა გულწრფელი „ღირსსახსოვარი ხარ საქართველოვ!“.

მაშ ამასა ვთხოვ, გზა დამილოცო ლოცვა-კურთხევა გზად მითანამგზრო რომ ჩემი ღვაწლით , ცლით, ვასხელი **იქ ისრაელი, აქ საქართველო.**

არ დამამადლო ეს ღღობილი რადგან იმ მხარეს შენც გიღვეს წილი იქ ასვენია შენი გვირგვინი შოთა ნეტარი, ნათელმოსილი.

ვილოცებ მარად იყოთ ღღერძელი ისრაელი და მიწა ქართული თანმტკიცდებოდეს საუკუნობით ჩვენს შორის ძმობა და სიყვარული.

როზა აბნერაშვილი.



შემოსავალ-გასავლის ანგარიში.
 შემოსავალი თხუთმეტ აპრილიდან ოცდათერთმეტ ივლისამდე (ფრანკებით).
 შარლი ცინცაძე ro 497 62 ხეირო ხეიროშვილი

ვიტალი უგრეხელიძე	16,60	ლიმბერი ალაგიძე	50	
ვიქტორ ინაშვილი	100	ნიკოლოზ ანთაძე	100	
დ. ტ.	100	ლევან კაკულია	96	
მიშა ვაფრინდაშვილი	50	გრიგოლ წერეთელი	100	
ლიმბერი გოგიშვილი	33,39	22	ლადო ბაბიშვილი	33,40
შემოსავლის ჯამი: -----			1 247 02	
სალაროში დარჩენილი იყ. -----			3270 93	
			სულ	4517 95
მეთექვსმეტე ნომრის ხარჯები:				
სტამბის -----			2321 96	
ფოსტის -----			327 100	
სულ ხარჯები -----			2648 96	
სალაროში დარჩა -----			1868 99	

„თავ. ტრიბუნის“ წყობილებებს და არამყიფილებსაც უმორჩილესად ვთხოვთ თავის დაბეგვრა ნდუმბეზრდებად.

ც ნ ბ ი ს ა თ ვ ი ს

„თავისუფლების ტრიბუნას“ ეს ნომერი „ოფსეტის“ (ფოტოგრაფიურის) სისტემით იბეჭდება. ეს პირველი ცდაა, ამ სისტემისათვის განკუთვნილ სპეციალურ საბეჭდ მანქანისჩვენ მიერ გამოყენებისა. ამიტომ ეს პირველი გამოცემა , გაპარულ შეცდომებისაგან დაზღვეული ვერ იქნება, რისთვისაც სულგრძელობასა და მოტეგებას ვთხოვთ მკითხველებს.

ზემოდსენებული მანქანა აწ განსვენებულ ბოეტს გიორგი გამყრელიძეს ეკუთვნოდა. მისმა ქვრივმა, ქალბატონმა ვალი-მ, ექიმ ვახტანგ ჩხაიძესთან და დოქტორ კარლო ინსასარძისთან შეთანხმებით, მანქანა მუდმივ სახმარად და საკუთრებად გადმოსცა საფრანგეთში არსებულ ქართულ ეროვნულ გამოცემებს.

მანქანის ქართული ასოების მატარებელი „რკალი“ დაზიანებული აღმოჩნდა. ეს ნაწილი ამერიკაში შეიძინა და გადმოგვიგზავნა ბატონმა ვივი კობახიძემ .

ქართული საქმისათვის ზრუნვა, ყოველი ქართველის ვალია, მაგრამ ვალდებულება არ გამოირიცხავს დამსახურებას. „თავ. ტრიბუნა“ მაღლობს გამოსთქვამს მოხსენებულ პირთა მიმართ.

შეცდომის გასწორება. ჩვენი ჟურნალის ამისწინა ნომერში, მეთორმეტე გვერდზე, სურათის ქვეშ აწერია: „ნ. შარიას მიღება კნესეტში“. უნდა იყოს: „ნ. შარიას მიღება ისრაელის მუშათა გაერთიანების იერუსალიმის განყოფილებაში. შარიას გვერდით, ფეხზე დგას ბატონი რაფიელ ბალუაშვილი.